ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 6 (1444)

1-7 მარტი, 1996 წ.



გეგა კობახიძე



კახა ივერიელი



პაატა ივერიელი



სოსო წერეთელი



გია ტაბიძე

1 9 8 4

# თვითმფრინავის გამტაცებლები და აღშფოთებული ჟურნალისტები

მთელი საქართველოსათვის ცნობილია ის შემზარავი ფაქტი, რაც ტოტალიტარული რეჟიმის დროს თვითმფრინავის გატაცების მცდელობამ გამოიწვია რამდენიმე თბილისელი ახალგაზრდის მიერ.

დამნაშავენი სახელმწიფომ გაასამართლა და ამ „სამართლის ქმნის" დროს ასჯერ მეტი დანაშაული იქნა ჩადენილი უკვე კანონის სახელით. ამჯერად, ამ ამბავს ვიხსენებთ იმ კალმოსნებისათვის „ყურის აწევის" მიზნით, რომელთაც წინამდებარე პუბლიკაცია გამოაცხვეს „ნიანგის ცრემლების" თანდართვით...

მართალია, პუბლიკაციას კონკრეტული ავტორი არ აწერს ხელს, მაგრამ ის ხომ კონკრეტულმა პირებმა ან პირმა დაწერა. ნათქვამია, კალმით ნაწერს ისტორია ნაჯახით ვეღარ ამოშლისო. ამ წერილის ავტორი თუ ავტორები დღეს ალბათ სხვა ჰანგებზე მღერიან. მისი ხელმეორედ გამოქვეყნება თუ მათ სულს არ შეაშფოთებს, ცოტას შეაშინებს მაინც, ჟურნალისტმა რა დაწეროს და როგორ დაწეროს, ამაზე დაგვაფიქრებს, ვინაიდან გაზეთი, წიგნი, ჟურნალი მართლა ერთი დღის არ არის. ისტორია კალმოსანს დიდი ხნის გასვლის შემდეგაც მოსთხოვს პასუხს. დროის კარნახი ხშირად ევოლუციას განიცდის. გაუფასურებას არ განიცდის ის, რაც სინდისის კარნახით იწერება. ჩვენი დროის პრესაც ასევე გავა მომავლის სამსჯავროზე. ღირს ამაზე დაფიქრება...

...რა დაადგინა გამოძიებამ და სასამართლო გარჩევამ?

## რესპუბლიკის სახელით

18 ნოემბერს თვითმფრინავის გაფრენის წინ, რომელიც მიფრინავდა რეისით № 6833 თბილისი-ბათუმი-კიევი-ლენინგრადის მარშრუტით, თბილისის აეროპორტში მოვიდა საქორწინო კორტეჟი. ცოლ-ქმარმა გერმანე კობახიძემ და თინათინ ფეტვიაშვილმა საქორწინო მოგზაურობის ინსცენირება გაითამაშეს. ამ „მოგზაურობაში" მათთან უნდა ხლებოდნენ დავით მიქაბერიძე, [illegible] წერეთელი, [illegible] პატარძლის ხელისმომკიდეები ანა მელიქა და ევგენია შალუტაშვილი, რომლებმაც არაფერი იცოდნენ „მოგზაურობის" ნამდვილი მიზნის შესახებ. ევგენია შალუტაშვილს პატარძალმა ჩააბარა თავისი ჩანთა, რომელშიც, როგორც შემდეგ გაირკვა, პისტოლეტები, ხელყუმბარები, ცივი იარაღი ეწყო.

ბანდიტები წინასწარ შემუშავებული გეგმით ხელმძღვანელობდნენ, რომელიც, რა თქმა უნდა, იმასაც ითვალისწინებდა, თუ როგორ აეცილებინათ თავიდან ხელბარგის გასინჯვა. სწორედ ამ მიზნით მიიწვიეს მათ წინა დღეს ქორწილში ანა ვარსიმაშვილი — თბილისის აეროპორტის მგზავრთა გადაყვანის ორგანიზაციის სამსახურის საერთაშორისო სექტორის მორიგე. ჯგუფის წევრები დიდხანს ეძებდნენ ვარსიმაშვილთან დაახლოების გზებს. ბოლოს დაამყარეს კიდეც მასთან კეთილი ურთიერთობა. როგორც კი ამას მიაღწიეს, ქორწილიც მის მორიგეობას დაამთხვიეს. საერთოდ, თავიანთი ქორწინება კობახიძემ და ფეტვიაშვილმა ჯგუფის გეგმის განხორციელების წინა დღეს გააფორმეს.

ვარსიმაშვილმა, რომელსაც არაფრის ეჭვი არა ჰქონია, უბრალოდ კეთილ ნაცნობებს ხათრი არ გაუტეხა, დაარღვია ინსტრუქცია და მექორწილეები შეუმოწმებლად სპეცკონტროლის გაუწევლად გაატარა თვითმფრინავისაკენ. სწორედ ამის გამო მიეცა იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ბანდის სხვა წევრებმა — ძმებმა კახა და პაატა ივერიელებმა, გრიგოლ ტაბიძემ, დანარჩენ მგზავრებთან ერთად გაიარეს საერთო დარბაზი და „ახალდაქორწინებულებს" შეუერთდნენ.

გაგრძელება მე-4 გვ

## მამუკა გიორგაძე:

## არასერიოზულია, ჩავთვალოთ სახელმწიფო საიდუმლოებად ის, რაც იცის ვარდიკო ნადიბაიძემ...

27 თებერვალს პრეს-კონფერენცია გამართეს საპარლამენტო ფრაქციის „ეროვნულ-დემოკრატების" წარმომადგენლებმა.

პრეს-კონფერენციის თემა იყო 1995 წლის არჩევნების შემდეგ საპარლამენტო ფრაქციის საქმიანობის ანგარიში. ფრაქციის ლიდერმა, მამუკა გიორგაძემ აღნიშნა პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობაში ფრაქციის დამსახურება. კერძოდ, ისეთი კანონპროექტების განხილვაში, როგორიცაა: „სასოფლო-სამეურნეო ქონების კერძო საკუთრებაში გადაცემის შესახებ", „კომერციული ბანკების შესახებ" და 1996 წლის ბიუჯეტის შემუშავება.

მიხეილ ჯიბუტი:

— ჩვენ არჩევნების წინ მიცემული ეკონომიკური პროგრამის ყველა პირობას ვასრულებთ. პარლამენტში ჩვენს მიერ გამართული დისკუსიები და დებატები პოპულიზმით კი არა, საქმისადმი პროფესიონალური მიდგომით გამოირჩევა.

შემდგომ მოჰყვა კითხვები.

— იქმნება შთაბეჭდილება, რომ მთავრობის მხრიდან საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების შეგნებული დისკრედიტაცია მიდის. თქვენი აზრით, ასეა თუ არა?

მამუკა გიორგაძე:

— მე ვფიქრობ, რომ შეუძლებელია ეს მოხდეს შეგნებულ[illegible] ისეცაა, რომ ბატონ შალმან-ვალავის რეკომენდაციებს ისინი თავიანთ მოსაზრებებს უმატებენ. მაგრამ იმის პროპაგანდა, რომ რეფორმები ქვეყანას ღუპავენ, ისევე როგორც ნაციონალურმა მოძრაობამ დაღუპა ქვეყანა, შეუძლებელ[illegible] შემთხვევითი მოვლენა იყოს.

— როგორია თქვენი აზრი მიწის კანონპროექტზე?

მიხეილ ჯიბუტი:

— მიუხედავად იმისა, რომ კანონი უმოკლეს ვადებში უნდა მიგვეღო, ჩვენი ძირითადი შენიშვნა ის იყო, რომ კანონი სრულყოფილი უნდა ყოფილიყო. ამ კანონმა მფლობელს ყველა უფლება უნდა მისცეს მიწაზე.

— სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს მიწის შესყიდვის პრიორიტეტი?

გურამ ჩახვაძე:

— სახელმწიფოს იმ შემთხვევაში უნდა ჰქონდეს პრიორიტეტი, თუ ადრე ის იყო მიწის მფლობელი და სურს მისი გამოსყიდვა.

— პრიორი[illegible]ლი უნდა იყოს თუ არა საქართველოში შეიარაღებული ძალების მშენებლობა და როგორ გამოისახება ეს ბიუჯეტზე?

მიხეილ ჯიბუტი:

— ჩვენი ბიუჯეტი კონცეპტუალური არ ყოფილა. ჩვენ არ შეგვიძლია ბიუჯეტით პრიორიტეტების განსაზღვრა.

მამუკა გიორგაძე:

— ჩვენ არ ვიცით, როგორ ჯარს ვქმნით, შეიძლება თავდაცვის მინისტრ ვარდიკო ნადიბაიძესა და პრეზიდენტს თავიანთი მოსაზრება აქვთ საქართველოს შეიარაღებული ჯარების მშენებლობაზე, მაგრამ არასერიოზულია ჩავთვალოთ სახელმწიფო საიდუმლოებად ის, რაც იცის ვარდიკო ნადიბაიძემ.

თომას ჩაგელიშვილი
BGI კორესპონდენტი

# შაბაშ „პოეტო“, ქართველთა ჰომიროსი ხარ...

ძვირფასო მკითხველო, ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა ჩემი წერილი — „რამ გაუმხნევათ არ ვიცი, ამ უბედურებას გულები“.

წერილში, როგორც მკითხველს ახსოვს, „გულითადი სიყვარული“ მქონდა გამოხატული ბორჯომის გამგებლის, იგივე როდიონოვის მართვეს, სოციალისტ ვაჟა ბერიძისა და მისი ორგანოს — გაზეთ „ბორჯომის ხეობის“ რედაქტორის რობერტა ცუცქირიძისადმი.

ეს უკანასკნელი გახლავთ ავტორი იმ პანეგირიკული „პოემისა“, რომლითაც ჭკუაზე აფრაკად მყოფმა ავტორ-რედაქტორმა დღის სინათლეზე გამოიტანა არჩევნების დროს რაიონის ხელმძღვანელების მიერ „ვაჟკაცურად“ ჩატარებული ბრძოლის პერიპეტიები. ამ „პოემის“ ავტორს პატივცემული დეპუტატისადმი ერთგულების დამტკიცება სურდა, მაგრამ მტერს მან რომ საქმე გაუკეთა...

პატივცემულო მკითხველო, ამ თემას აღარ მივუბრუნდებოდი, მაგრამ აღმოჩნდა მკითხველთა ისეთი კატეგორიაც, რომელთაც არ დაიჯერეს, კაცი საკუთარ გაზეთში, საკუთარ თავს, თავის მარჩენალ გამგებელს და მთელს მათ ბანაკს როგორ მოსჭრიდა თავს. ამ „პოემის“ არსებობის უტყუარობა დაგვიმტკიცეო...

მე ბორჯომის გამგებლის მსგავსად, ჩემს სიმართლეში რომ დაგარწმუნოთ, ლენინის „უკვდავ“ სულზე ვერ დავიფიცებ. ავდგები და ამ პოემას აქვე გადმოვბეჭდავ. პარლამენტარისადმი მილოცვას, ცხადია, მეც ვუერთდები, სხვათაშორის, ეს მე ამ შერეკილ პოეტზე ადრე გავაკეთე, მაგრამ მთელი იმ „პატიოსანი“ ხალხის საქციელით აღფრთოვნებაში კი ვერ ჩავეზიარები „პოეტს“. ხალხისა, რომელნიც ზედ არჩევნების დღეს ლამის გახსნილი ლიმონკებით დარბიან და ხალხს აშინებენ, გინდათ თუ არა, ხმა მოგვეცითო...

ამ „პოემაში“ ისეთ სახელებსაც შევხვდებით, ზოოპარკის ბინადარნი გაგახსენდებათ, მაგრამ არ შეცდეთ, პოემის პერსონაჟები ვინ ჯგუფის არსებანი არიან, უფრო მეტიც, თითქმის ყველა რაღაცის დირექტორი და რაღაცის ხელმძღვანელი მუშაკი გახლავთ. აქედან გამომდინარე, მე ვიზიარებ მათ მწუხარებას იმის გამო, რომ მათი მაქებარი ასეთი ჭკუათხელი პოეტი აღმოჩნდა.

მართალია, გამგებელმა რომ ეს „პოემა“ წაიკითხა, სიხარულით შესძახა: შაბაშ რობერტა, ქართველთა ჰომიროსი ხარო.

მაგრამ წინა ნომერში გამოქვეყნებულმა ჩემმა წერილმა, როგორც მის მიერ სასწრაფოდ მოწვეული თათბირის მონაწილენი იტყობინებიან, ხასიათი წაუხდინა როდიონოვის მართვეს და ახლა თავის განუყრელ ჩონგურზე სევდიანად ამღერებს:

ჩემი ცოდვაც მისცემია ჩემს ამამთხრელ რობერტასაო...

ახლა კი დროა ამ „შედევრსაც“ გავეცნოთ.

ნოდარ გრიგალაშვილი

## საარჩევნო მარათონის ბედნიერი ფინიში

### ეძღვნება საქართველოს პარლამენტის დეპუტატს ვლადიმერ (ვოვა) ქარსელაძეს

ახლა, ასრულდა ოცნება,
გაქვს პარლამენტის საგზური,
ხეობის დიდი ნაწილის
მოსახლეობის დასტურით.
რადგან ხარ კაცი-კაცური,
ღვთის მირონ-მადლით ნაკურთხი.
მთიდან ეშვება ნიავი,
გამთბარი ლოცვა-კურთხევით,
გლოცავს კოხტა და ცხრაწყარო.
იღვრება ლოცვა ულევი.
დამთავრდა ციებ-ცხელება,
დამშვიდდა ჩვენი გულები...
იყო მზაკვრობა, ღალატიც
და ორგულობა ცბიერი,
ყალბი დეზინფორმაციის
არხი საკმაოდ ძლიერი,
იყო ორმაგი თამაშიც,
ორმაგი ნიღბის იერით.
იქუხა რეზო ნინიძემ,
ბრძოლაში ჩართო „ჯიგარი“,
უბრძანა: მაგრად დადექი,
„მტერმა“ ვერ შემოგვიაროს,
ტბის „ფრონტზე“ „სპილო“
გაგზავნა,
რომ წალვერამდეც იაროს,
თემო ციხისჯვარს ესტუმრა,
ტაბაწყურს მისი ლევანი
„და ვიდრე საქართველოში
დაიწურება მტევანი“,
ძმებად დავრჩეთო ერთურთთან,
ვერ მოგვერიოს ვერავინ,
ჟორა დიდ მინდორს მიადგა,
კოკინაკს ჭინო ამქარით,
გურამიშვილზე ვალერიმ
ააგიზგიზა ხანძარი,
შესძახეს: ხმები მოგვეცით,
თუ არ გსურთ გნახოთ დამწვარი...
გოგიას ციხის უბნელებს
ჯიქურ მიეჭრა თამაზი:
ადექით, რაღას ზოზინობთ,
ხომ არ გგონიათ თამაში,
სუყველა წამოიყვანეთ
მზია, ლია თუ მალხაზი...
პურის ქარხნიდან გონგლაძე
გივიმ ატეხა განგაში:
თუ ვოვას ხმები არ მისცეს
პურს არ გავგზავნი ქალაქში,
ოთხ წელს უპუროდ დარჩება
სოფელიცა და ქალაქიც...
ჩითახევჭესში ბობოქრობს
გელაშვილების ბოკვერი:
თუ არ მივიღეთ ის ხმები
რასაც ამ ტურში მოველით,
ნოეს ვავალებ, უშუქოდ
დატოვოს ყველა სოფელი...
ახალშენს შაქარს პირდება
კაჭკაჭიშვილი რეზიკო,
მოწმედ ჰყავს ორი ზურიკო,
ზეინაბი და გულიკო,
დამტკბარი ამომრჩეველი,
ნაღდად იმღერებს სულიკოს...
ბორჯომელ პოლიგრაფისტებს
გეგმა გააცნო ანულიმ:
ვოვას რეკლამის შექმნისთვის
ვიყოთ ფერხულში ჩაბმულნი,
ლამაზი შრიფტი მივძებნოთ
მარგალიტივით ასხმული...
ნატბეულაძიანთ ლევანმა
ერთ გუნდად შეკრა ბიჭები
და სარეკლამო ფურცლები
მოჰფინეს როგორც ფიფქები,
კობა, ირაკლი, გიორგი,
დაჰქრიან „ჟიგულ-ნივებით“,
ქვეყანას აუწყეს, გააცნეს
ვოვას პროგრამა, მიზნები...
ვინც ხმებს ჩვენ მოგვცემს
ერთგულად
ვეპატიჟები ნადიმზე,
ირმის ეწვადებსაც მოგართმევთ
ორ შამფურს თითო საინზე,
ტურისტებითაც მოგხიბლავთ,
გპირდებათ სოსო სვანიძე...
სასკოლო ზარის წკრიალით
ხალხს უხმობს ზაურ ქურდაძე: —
ვინც ხმას არ მოგვცემს,
სუყველას უარი ეთქვას ხურდაზე,
მათ ბინას, დღით და ღამითაც,
ქურდბაცაცები ქურდავდნენ...
არჩევნების დღეს თუ ვინმემ
ზედმეტად გადაამლაშა,
ვეტერანების გვარდიას
წინ გაუძღვება ლავაშა
და საარჩევნო ყუთებზე
გააბრტყელებენ ლავაშად...
ტრასებზე ყველა მანქანას
ეგებებიან ნუგზარით,
დუშს ინსპექტორის სასტვენი,
დუშს კალანდაძე ნუგზარი,
სურს მადლიერი გაუშვას
შინაურიც და სტუმარიც...
მადლობა უფალს შეწყვიტეს
ავტომატების კაკანი,
პოლიციის შეფს არ უყვარს
ლაზღანდარობა, ქაქანი,
დავითმა ყველა გარეწარს
დააწყებინა კანკალი...
წესრიგის საგუშაგოზე
დგას ხარიძიანთ ოთარი,
[illegible]
ავთო, ვაჟა და ომარი,
იცოდეს ყველამ, რომ მათთან
არვის გაუვა თომარი...
ავთანდილ ჯავახიშვილმა
პარკში აანთო სანთელი:
ღმერთო, ხმები ვინც დაგვაკლოს,
დღე არ აღირსო ნათელი,
მოკვეთილ იქნას პარკიდან
მისი გვარი და სახელი...
სპეციალური რეისით
როინ ბოლქვაძეც მოფრინდა,
ამბობს: ვერ გავძელ მოსკოვში
ბორჯომში ყოფნა მომინდა,
ახლა ერთი ხმაც ოქროდ ღირს,
დღეს გამარჯვება მომწიფდა...
გედიმ მთავარ შტაბს აცნობა:
ღალატიაო ტაძრისში,
წამოხტა გოგი ფერაძე
ომართან ერთად გამიშვით,
მედგრად იბრძოლეს ბიჭებმა,
მაგრამ ღალატით დავიწვით...
კობამ — „მფრინავმა ტორპედომ“
უხმო ტრამპლინის ჯადოქრებს,
უთხრა: თუ მტკიცედ ვიდგებით
ჩვენ ვეღარავინ გვაჯობებს,
ხმა მივცეთ სპორტის ვეტერანს,
რომ ვოვას ძმობაც აიბობდეს...
დე, ნაღდი ძმობა გვაიბობდეს
და ერთგულებამ იმძლავროს,
ბორიტსა სძლიოს კეთილმან
სიკეთის ნერგმა იხაროს,
მოღალატემ და ორგულმა
წამითაც ვერ გაიხაროს...
დამშვიდდა ბორჯომ-ქალაქი,
ჰყავს პარლამენტში რჩეული,
ბორჯომზე ფიქრით გამთბარი,
კაცურ-კაცობით ქებული,
მეგობრის მოჭირნახულე,
უღალატო და ერთგული...
გამგებელს — ვაჟა ბერიძეს
გული საგულეს ჩაუდგა,
იზოც დაწყნარდა, მამუკაც,
რადგან სურვილი აუხდათ,
იციან, რომ მათ ქომაგად
ძლიერი კაცი დაუდგა...
არჩევნების დღეს ბორჯომი
მოაჯადოვეს ჰანგებით,
მუსიკალური სკოლიდან
ისმის გალობა ქალების,
ნაილე აბულაძის გუნდს
შვენის ლამაზი თვალები,
ღმერთო, აწუქე მეგზურად
მარად მზიანი დარები...
გვახაროს ჩვენმა რჩეულმა
თავის პროგრამის ნაყოფით,
დე, გვეამაყოს წარსულით,
სიმაღლითა და აწმყოთიც,
ვიყოთ ერთ გუნდად შეკრულნი,
ძმობის ფოლადით ნაწრთობი...
ავაღორძინოთ ბორჯომი,
ჩვენი ხეობა ზღაპრული,
გვქონდეს მსოფლიო კურორტი,
ტრადიციებით ქართული,
დადგა დრო, უნდა ვახაროთ
ჩვენი ტანჯული მამული...
პარლამენტისკენ მიმავალ
გზას დაგილოცავთ ვლადიმერ,
ფიქრ-ნაფიქრები სიცოცხლის
უშრეტ ელექსირს გაწვდიდეს,
ყველა სალოცავს ამას ვთხოვ:
ჩვენი ბორჯომი ადიდე...

რობერტ ბორჯომელი

გაზეთი
„ბორჯომის ხეობა“

1 იანვარი, 1996 წ.

## ეპილოგის მაგიერ:

გასრულდა ეს „მშვენიერი პოემა“, მართალი გითხრათ ცოტა გული მწყდებოდა, ნუთუ ჩემს მშობლიურ რაიონში დამცველი არავინ აღმოაჩნდა,

ამ ჩიტირეკია მწერალსა და მის მეჩონგურე გამგებელს მარტო მე უნდა „ვებაასო“-მეთქი, მაგრამ ასეც არ ყოფილა საქმე. ამ დღეებში ბორჯომიდან მუშები ჩამობრძანდნენ და ეს ლექსი მოიტანეს რედაქციაში. ვიდრე მას გაგაცნობდეთ, მცირე კომენტარს წარვუმძღვარებ.

პატივცემულო მკითხველო, დიდი ოსტატის ხელი არც ქვემოთ წარმოდგენილ სტრიქონებს ატყვია.

მაგრამ მისი ავტორი, უბრალო ადამიანი, პირველად რომ აალებინა ამ ჩემი ძვირფასი მოწინაღმდეგეების უსამართლობამ ხელში კალამი, სიმართლისა და ნიჭის მხრივ, დაახლოებით იმავე მიმართებაშია „პოეტსა“ და რედაქტორ რობერტ ცუცქირიძესთან, როგორც რუსთაველი ფეშანგი ფაშვიბერტყვაძესთან.

აი, ეს ლექსიც:

ეგ რა პოემა შეგითხზავს,
ჩვენო ძვირფასო რობერტო;
საკუთარ ძმებს და მომხრეებს
თავად გამოსდე მოგვერდი...
გალექსვა არა სჭირდება —
თქვენს ხრიკებსა და ოინებს,
ვიცით, ბატონო, „კენჭისყრა“
რა „პატიოსნად“ მოიგეთ!..
სიმართლის დასამარცხებლად
ცა და ქვეყანა მიმართეთ.
დღეს კი ეგ თქვენი ნაღვაწი
მეგობრულ შარჟად მონათლეთ.
მთელმა ბორჯომმა გაიგო
რა ცეცხლი გწვავდათ ყმაწვილებს
ერთი პატარა ქალაქი
წინასწარ დაინაწილეთ...
ზოგი სკამს დაჰკანკალებდა
და კუდში ამად დაგდევდათ.
ადრე ვინც ქალაქს იკლებდა
დღეს ნამუსს გვიქადაგებდა...
თქვენი საგმირო საქმენი
დღეს აღარავის აოცებს,
ქურდებს დოლარებს აძლევდით
გლეხებს ბოტებს და კალოშებს...
ადიდებთ ჟორა ქოქოევს
მართლა ყოფილა ძლიერი,
თქვენს გადამკიდემ ქალაქი
აკი დასტოვა მშიერი!
სუ ყველამ ფეხი გამოყო
მენეჯერმა თუ ბროკერმა
უშუქობა არ მოგვაკლო
გელაშვილების „ბოკვერმა“!
ვალერიმ წყალი დაგვიშრო
არც ტყვილა დანაპირები
გაჩერდნენ ჩვენი ქარხნები
როგორც მიტუას ვირები...
სად არის თქვენი სიტყვები
და თქვენი დანაპირები,
წესით არ უნდა გიხსნიდეთ
შერცხვენილთ, დანით პირები...
„ქარი“ არჩიეთ „გრიგალსა“
და ჩვენს ქონებას ქარს ატანთ
დღეიდან ძმაო რობერტი
სახელად გარქმევთ ფარსადანს“.

ვფიქრობ კომენტარი ზედმეტია. აქ დავასრულებ ჩემს წერილსაც, ცხადია, თუ მომავალში გამგებელმა — როდიონოვის მართვემ და მისმა რედაქტორმა აწ ფარსადანად სახელდებულმა რობერტმა კვლავ არ განმაწყვეს მათთან „ტკბილი“ საუბრისათვის...

## ფარსული სასამართლო დრამები

# კამიკაძე ქალები

1991 წლის მაისში მთელი მსოფლიო შეძრა გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის, ინდოეთის პრეზიდენტის, რაჯივ განდის მკვლელობამ. ტერორისტმა ქალმა ბომბი მაშინ ააფეთქა, როცა პრეზიდენტთან მივიდა და მის ფეხებთან დაიხარა. ამ აფეთქებით მან თავიც გასწირა და თან გაიყოლა... რაჯივ განდიც. ქალი კამიკაძე... ალბათ ძალზე ძნელია, თითქმის დაუჯერებელია ასეთი რისკი ქალთაგან, მაგრამ მაინც, მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთის ტერორისტები ბრძოლაში ხშირად იყენებდნენ თავგანწირულ ქალებს.

1907 წლის ოქტომბრის დასაწყისში მეფის რუსეთის ციხის მთავარი სამმართველოს უფროსმა ალექსანდრე მაქსიმოვსკიმ თავის დას ისე, სხვათაშორის დაუბარა, რომ მისი დაკრძალვა ძალზე უბრალოდ მოეწყოთ, სრულებით არ იყო საჭირო ყვავილები და გვირგვინები და კუბო უბრალო მარხილით წაეღოთ.

— რა სისულელეები მოგდის თავში? ჯერ ხომ ორმოცდაათისაც კი არა ხარ, რა ჭია შეგიძვრა? —უთხრა მან. მაქსიმოვსკის ამ თემაზე მეტად ალარაფერი უთქვამს, მაგრამ მისი ნაღვლიანი თვალების შემხედვარე და მიხვდა, რომ იგი არ ხუმრობდა.

სიკვდილზე ფიქრი ალექსანდრე მაქსიმოვსკის შემთხვევით არ წამოუწყია. ამისათვის სერიოზული მიზეზი ჰქონდა.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ რუსეთის ციხეები პოლიტპატიმრებით გაივსო. რის გამოც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო. ციხის მთავარი სამმართველოს მისამართით ყოველი მხრიდან უამრავი ბრალდება მოდიოდა. ერთნი „ლიბერალური" რეჟიმის შემოღებაში სდებდნენ ბრალს, რომ საპატიმრო ოთახები პოლიტპატიმრებისა და ყველა ჯურის დამნაშავეთათვის სამოთხედ გადააქციეს, და რომ ციხის ხელმძღვანელობა ხელს უშყობს გაქცევის მცდელობებს. სხვანი კი პირიქით, იქ გამეფებულ მკაცრ რეჟიმზე ჩიოდნენ, რომ საშინლად აწამებდნენ უდანაშაულო ადამიანებს.

გამალიზიანებელი სტატიები გამოჩნდა პრესაშიც. გაზეთში „რუს" 1907 წლის აპრილში ვინმე გერცენშტეინი წერდა „საპატიმროში მეტაკებათა და საშინელებათა" შესახებ და მიუთითებდა, რომ ყურადღება მიექციათ ციხის მთავარი სამმართველოს უფროსისა და მისი ინსპექტორებისათვის.

ეს სტატიები და მოწოდებები სიტყვების ტყუილად ფანტვა არ ყოფილა. ეს იყო მდგომარეობის რეალური ანალიზი. ციხის მმართველობის წინააღმდეგ ნამდვილი ომი მიმდინარეობდა.

აი, რამდენიმე ფაქტიც:

1907 წლის იანვარში პეტერბურგში ვასილევსკის კუნძულზე დაუდგენელმა ტერორისტმა მოკლა სანკ-პეტერბურგის დროებითი ციხის უფროსი ნ.გუდიმა.

იმავე წლის 19 თებერვალს დაიღუპა უფის ციხის ინსპექტორი გ.კოლბე. თავდასხმამდე ათი დღით ადრე მან მუქარის წერილი მიიღო, სადაც წერდნენ, რომ თუ უფის ციხეში პოლიტპატიმრების მიმართ ადმინისტრაციის მიერ ურთიერთობა არ შეიცვლებოდა, იგი განწირული იყო.

11 აპრილს მოკლეს ოდესის ციხის უფროსი ი.შაფერუკი.

იმავე (1907) წლის 28 მაისს ჩიტაში თავს დაესხნენ ნერჩინსკის კატორღის უფროსს ი.მეტუსს. მანამ, სანამ მაქსიმოვსკი მეტუსს აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშნავდა, კატორღაში რევიზია ჩაატარეს, რომელმაც გამოააშკარავა, რომ ყოფილი ხელმძღვანელობა პოლიტპატიმრების მიმართ ლიბერალური იყო. თითქმის ყოველდღე ირღვეოდა შინაგანაწესი. მეტუსმა თავისი ენერგიული მუშაობით ყოველივე ეს მალე აღმოფხვრა, რისთვისაც სიცოცხლით ზღო.

27 ივლისს ჩასაფრებულებმა კელცში მოკლეს საგუბერნიო ციხის უფროსი ნ.გრეცკი.

13 აგვისტოს პეტერბურგში მოკლეს ა.ივანოვი და ალგაჩინსკის ციხის უფროსი ს.ბარადულინი.

ციხის მთავარი სამმართველოს მონაცემებით მხოლოდ 1907 წელს მოკლეს ციხის 140 და დაჭრეს 169 მოსამსახურე და ზედამხედველი.

ყოველივე ამის მიუხედავად მაქსიმოვსკი თანამედროვეთა ცნობით განსაკუთრებულ სიმტკიცეს იჩენდა ყველას მიმართ და ამასვე მოითხოვდა ხელქვეითთა მხრიდანაც. იგი იყო ხელმწიფის ნამდვილად თავდადებული მოსამსახურე. წინადადებაზე, რომ რამდენადმე მაინც შეემსუბუქებინათ მდგომარეობა პოლიტპატიმრებისათვის, იგი პასუხობდა, რომ „ციხე-ციხეა" და არავითარი დათმობა არ იქნებოდა.

ორშაბათს, 1907 წლის 15 ოქტომბერს ციხის მთავარ სამმართველოში მიღების დღე იყო. დაახლოებით ორ საათზე სამმართველოს შენობაში სხვა მომსვლელებთან და მთხოვნელებთან ერთად ახალგაზრდა შავ კაბაში ჩაცმული ქალი შევიდა. მან აქეთ-იქით გაიხედა და მაშინვე შიკრიკს მიმართა:

— მოახსენეთ სამმართველოს უფროსს მაქსიმოვსკის ჩემს შესახებ! —ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ თქვა მან.

— რა საქმეზე ხართ?

—ამის შესახებ თვითონ მას ვეტყვი.

რამდენიმე წუთის შემდეგ მასთან ინსპექტორი ოგნევი გამოვიდა.

—უფროსის ნაცვალი მე მითხარით რა გსურთ. — უთხრა მან ქალს.

— ჩემს მაზლს კატორღული სამუშაო აქვს მისჯილი. იგი ავადმყოფია და მძიმე სამუშაო არ შეუძლია. გვინდა ხანდახან შინაური საჭმელი გადავცეთ ხოლმე, ციხის უფროსმა კი აგვიკრძალა.

ოგნევმა აუხსნა, რომ ციხის ადმინისტრაცია სწორად მოქცეულა. ამის შესახებ უნდა დაწეროთ ოფიციალური თხოვნა და თუ ექიმები დაადასტურებენ, მას საავადმყოფოს კვებაზე გადაიყვანენო.

ქალი მაინც დაჟინებით მოითხოვდა მაქსიმოვსკის ნახვას.

ოგნევი მაქსიმოვსკისთან შევიდა და ყოველივე მოახსენა.

ქალი დაელოდა. მალე რაღაც საშინელი სუნი დადგა მისაღებში, მაგრამ ამას ყურადღება არავინ მიაქცია.

დაახლოებით ხუთ საათზე მაქსიმოვსკი გამოვიდა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ქალისაკენ.

— მე მინდოდა... — დაიწყო ქალმა და უცებ მარჯვენა ხელი ასწია. მის ხელში ბრაუნინგმა გაიელვა. მაქსიმოვსკიმ კიდევ ერთი ნაბიჯიც გადადგა და დაეცა. ქალი კი მშვიდად გავიდა დარბაზში. სწორედ ამ დროს იქ იმყოფებოდა მოსკოვის გუბერნიის ბოგოროდიცკის ციხის უფროსი, რომელმაც გაიგონა თუ არა გასროლის ხმა და დაინახა ქალი, რომელსაც ხელში ბრაუნინგი ეჭირა, უცებ წამოხტა და მაჯაში სტაცა ხელი. ქალმა კიდევ ხუთჯერ გაისროლა, თან დასხლტომას ცდილობდა. ტერორისტი სწრაფად განაიარაღეს.

მაქსიმოვსკი იატაკზე იწვა. პირიდან სისხლი სდიოდა, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

6 საათსა და 30 წუთზე იგი საოპერაციო მაგიდაზე გარდაიცვალა.

დაკითხვისას ტერორისტი თავისი ვინაობის გამხელაზე უარს აცხადებდა და ყოველი კითხვის პასუხად გიჟივით იცინოდა. გაჩხრეკისას მას მეორე ბრაუნინგიც აღმოაჩნდა და ამას გარდა მკერდზე, კაბის შიგნით პატარა ტომსიკა ჰქონდა მიკრული, საიდანაც ზონრები იყო გამოჩრილი, რომლებიც ჯიბეში შედიოდნენ.

კითხვაზე, თუ რა ზონრები იყო ეს, ქალმა უპასუხა, რომ გაეწიათ და მაშინ მიხვდებოდნენ მის დანიშნულებას.

პოლიციელებმა მაშინვე ტექნიკოსი გამოიძახეს, რომელმაც ფრთხილად გადაჭრა ზონრები და მოხსნა ტომსიკა, რომელშიც ახალი კონსტრუქციის ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოჩნდა. მის აფეთქებას იმ შენობის მთლიანად დანგრევა შეეძლო.

განმუხტეს რა ასაფეთქებული მოწყობილობა, ისევ შეუდგნენ დაკითხვას. პატიმარი ისევ დუმდა.

პოლიციელთა დასახმარებლად ტერორისტული აქტების გამომძიებელი განყოფილების მუშაკები მოვიდნენ. მათ შორის ერთ-ერთმა, შეხედა რა პატიმარს, გაოცებით წამოიძახა, რომ იგი [illegible] ევსტალია რაგოზინიკოვა იყო. იგი ერთ დროს პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლობდა და [illegible] რევოლუციონერებს. მათი ცნობით იგი სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში უნდა ყოფილიყო სამკურნალოდ გამწესებული, მაშასადამე გაიქცა.

დიახ, ეს იყო ევსტალია რაგოზინიკოვა, „მფრინავი" რაზმის წევრი, რომელიც სოციალ-რევოლუციონერთა საძმოს შეადგენდა. და სწორედ მას დაევალა რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მოეყვანა სისრულეში განაჩენი მაქსიმოვსკის მიმართ.

გამომძიებლებმა ვერ შეძლეს გამოერკვიათ, თუ რატომ ჰქონდა ტერორისტს მკერდზე მიკრული ასაფეთქებელი მოწყობილობა. ისინი ფიქრობდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ რევოლვერი არ გაამართლებდა, ქალი ააფეთქებდა მას. სხვები კი იმასაც ფიქრობდნენ, რომ ქალს იგი პოლიციის განყოფილებაში უნდა აეფეთქებინა.

ტერორისტულ აქტებზე გამოძიება მაშინ სწრაფად მიმდინარეობდა. რაგოზინიკოვა ცალკე კამერაში ჩასვეს. იგი მღეროდა და მშვიდად იყო.

1907 წლის 16 ოქტომბერს მას ბრალდების აქტი ჩააბარეს და სამ საათში იგი სასამართლოს წინაშე წარსდგა.

მთელმა პროცესმა ნახევარ საათს გასტანა. დამცველი არ ჰყოლია. ყოველ შეკითხვაზე სულელივით იცინოდა. აშკარად ჩანდა, რომ ფსიქიკურად მთლად ნორმალური არ იყო. განაჩენი სწრაფად გამოიტანეს.

დამნაშავეთა სამყაროსთან ურთიერთობისათვის და ციხის მთავარი სამმართველოს უფროსის მაქსიმოვსკის მკვლელობისათვის მეძავ ევსტალია რაგოზინიკოვას მიესაჯოს სიკვდილი ჩამოხრჩობით.

მშვიდად მოისმინა რა განაჩენი, ქალმა გაიცინა და თაყვანი სცა მოსამართლეთ.

განაჩენი სასწრაფოდ მოიყვანეს სისრულეში.

მოამზადა
შერმადინ ჯიხვაშვილმა

---

## რატომ ამჯობინა დუდაევის მინისტრმა ჩეჩნეთს ანატოლია?

როგორც ჩანს, რუსეთში უკვე დაიწყეს ადაპტირება ჩეჩნეთის ტერორიზმისადმი, მოქმედებს შეგუების კანონი, რომელიც ასუსტებს საფრთხის შეგრძნებას.

თუმცა, ვიღაც მწვავედ აღიქვამს ამ საფრთხეს. ერთი შეხედვით მოულოდნელი იყო დუდაევის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის, შამსუდინ იუსეფის მიერ 20 თებერვალს გადადგომის განცხადება. ის დუდაევის უახლოესი თანამებრძოლი და გარედან ჩეჩნეთის დახმარების ორგანიზატორი იყო. თურქეთში ყოფნის დროს, სარგებლობდა რა თურქეთის ხელმძღვანელობის ნდობით, მან მოახდინა რუსეთის გარეთ მყოფი ჩეჩნების მოქმედების კოორდინაცია. იუსეფი თავგანწირულად შრომობდა და... უცებ დააგდო საყვარელი საქმე, თანაც სკანდალი მოაწყო.

თურქეთში მყოფ ჩეჩნებს შორის დადის ჭორი, რომ ის გაეხვია ფულად მაქინაციებში, რაც დაკავშირებულია „ბოევიკების" მომარაგების მარკიტანტულ მოვალეობასთან. მის ინტერვიუებში იგრძნობა, რომ მან ისეთი რამ იცის ჩეჩენი ტერორისტების [illegible], რაც შეარყევს სამყაროს. შეიძლება პერვომაისკოესა და ტრაბზონის მოვლენებმა გაუნათეს მინისტრს გონება. მან განაცხადა, რომ მას და დუდაევს ერთი გზა არა აქვთ. „ვთვლი, რომ მთელი მსოფლიოს შეშინება და განცხადება, ტერორიზმისა და სამხედრო მოქმედებების მთელს კავკასიაზე, თურქეთსა და ევროპაზე გადატანის შესახებ, უპასუხისმგებლოა. ეს სახელმწიფოს მშენებლობაზე ჩემს წარმოდგენებს ეწინააღმდეგება. დაშინების მეშვეობით მხოლოდ დანაშაულებრივი ზონის ჩამოყალიბება შეიძლება", — წერს იუსეფი პრესისადმი მიმართვაში.

იუსეფის დამოწმებით, ერთი კვირის წინ მას მოუწყეს თავდასხმა, რომლის ორგანიზატორი იყო იჩქერიის რესპუბლიკის „მთავრობის" კიდევ ერთი წევრი. სამწუხაროა, რომ იუსეფის შიშები უფრო ადრე არ მოუვიდა თავში თურქეთის ხელმძღვანელობას, რომელიც გულგრილად უყურებდნა თავის ტერიტორიაზე ჩეჩნების აქტიურობას.

ადგილობრივ გაზეთებში გამოჩნდა შეტყობინება იმის შესახებ, რომ თურქეთის მთავრობამ მიიღო დამატებითი ზომები, რათა შეწყდეს მათი ტერიტორიის გავლით ჩეჩნეთში დაქირავებული ჯარისკაცების გადასროლა. თუმცა გავლა ყველას შეუძლია. ეს დაამტკიცა ორმა თურქმა ჟურნალისტმა, მათ გაზეთ „საბახში" გამოაქვეყნეს ინტერვიუ დუდაევთან. საინტერესოა არა გენერლის სიტყვა, არამედ თურქი ავტორების საგზაო ჩანაწერები, რომლებშიც ვიზების, აკრედიტაციებისა და საერთოდ ყოველგვარი ფორმალობების გარეშე გადალახეს თურქეთ-აზერბაიჯანისა და აზერბაიჯანრუსეთის საზღვრები, დაღესტანში უპასპორტოდ გაიარეს რუსეთის ჯარების 17 (?) ბლოკ-პოსტი და ჩააღწიეს ჩეჩნეთში. თუმცა, ეს საკმაოდ ძვირი დაუჯდათ.

საინტერესოა, რა უნდა მოხდეს, რომ ყველას დაუბრუნდეს საფრთხის შეგრძნება. როგორც ეს მოუვიდა ყოფილ მინისტრს იუსეფს, რომელიც გამოვიდა სისხლიანი თამაშიდან.

რუსული პრესის
მიხედვით მოამზადა
ნინო ორჯონიკიძემ

---

## რედაქტორები მიმართავენ პრეზიდენტს

### საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო ედუარდ! ეს ჩვენი დამოუკიდებელი პრესის რედაქტორთა პირველი ერთობლივი მიმართვაა და იმედი გვაქვს, რომ იგი ყურადღების გარეშე არ დარჩება, რადგან საკითხი მეტად მტკივნეულია საქართველოს ყველა ჟურნალისტისათვის და არამარტო მათთვის.

კარგად მოგეხსენებათ, მას-მედიის წარმომადგენლებს მეოთხე ხელისუფლებას გვიწოდებენ, თუმცა კაცმა მართალი რომ თქვას, ჩვენს სიტყვას, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყურს არავინ უგდებს. მაგრამ ამით, ცხადია, ტკივილი არ ყუჩდება, რადგან ანდაზა „კაცმა ჭირი მალა და ჭირმა თავი არ დამალაო", ძალაში რჩება. არადა ქვეყანა, რომელიც პატივს არ სცემს ჟურნალისტსა და საერთოდ ჟურნალისტიკას, არაფრით არ შეიძლება დემოკრატიულად იწოდებოდეს. არა, ჩვენ საუბარი არ გვაქვს ე.წ. „ყვითელ პრესაზე". ლაპარაკია იმ ობიექტურ საინფორმაციო საშუალებებზე, რომელთაც საკმაოდ ბევრი მკითხველი ჰყავს და ქვეყნის პულსაციას აფიქსირებს.

გვინდა იცოდეთ, რომ ფრიად შეგვაშფოთა გაზეთ „ალიაში" საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამა მაცნეს კომენტატორ მერაბ ბერაძის ხუთმა ტკივილიანმა პუბლიკაციამ, რომელიც, ეტყობა, დიდი განცდის შედეგად არის დაწერილი. ვფიქრობთ, თქვენთვის უცნობი არ უნდა იყოს ამ ჟურნალისტის საქმიანობა, რადგან დარწმუნებული ვართ, ხშირად მოგისმენიათ მისი მეტად აქტუალური რეპორტაჟები, რომელიც ქვეყნის წელში გასამართად არის გამიზნული. განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევდა მისი სიუჟეტები ენერგორესურსების ამოქმედების შესახებ. გულწრფელად გვჯეროდა, რომ მაცნეს უშუალო ხელმძღვანელი და სხვები მწვანე გზას მისცემდნენ ამ რეპორტაჟებს, მით უმეტეს, რომ ამ ცოტა ხნის წინ თქვენც ბრძანეთ ყველას გასაგონად: „საჭიროა შეიქმნას სპეციალური სატელევიზიო გადაცემები და რუბრიკები ამის შესახებო". მაგრამ, თითქოს სპეციალურად, თქვენი ნათქვამის შემდეგ ტელევიზიაში პრაქტიკულად ერთადერთი ჟურნალისტი, რომელიც ამ საკითხებზე მუშაობდა და მოსახლეობაც ინტერესით ელოდა მის გამოჩენას, ეკრანს ჩამოაშორეს იმ მოტივით, რომ იგი, თურმე ნუ იტყვით და „საზოგადოების აღშფოთებას იწვევს" (?!). (სწორედ ამ სიტყვებით, ყოველგვარი დამამტკიცებელი საბუთის გარეშე, ერის სხვა გამოჩენილ პირებთან ერთად 1937 წელს დახვრიტეს მისი მამა, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ვლადიმერ ბერაძე). და ეს მაშინ, როცა ჩვენი კოლეგა მერაბ ბერაძე საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის მიერ დასახელებული იყო წლის ყველაზე პოპულარულ ჟურნალისტად და გასულ წელს მიენიჭა მეტად პრესტიჟული რესპუბლიკური პრემია „სიახლეთა დანერგვისა და არაორდინალური რეპორტაჟებისათვის". (ცნობისთვის: იგი გახლავთ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრიც).

რა დასკვნა უნდა გამოიტანოთ, ბატონო ედუარდ, ყოველივე ზემოთქმულიდან? ის ხომ არა, რომ ჩვენში ხელმძღვანელთა ნაწილს არაფრად მიაჩნია თქვენი სიტყვა და ხელშეწყობის მაგივრად ხელს უშლიან ჟურნალისტს ხალხისთვის სასიკეთო საქმეების კეთებაში?

სხვათა შორის, იმავე პუბლიკაციებში ბატონი მ.ბერაძე დიდი გულისტკივილით აღნიშნავს და, ბუნებრივია, სხვებთან ერთად უკვირს, რომ სამხედრო კორესპონდენტი, ჟურნალისტი გურამ გორელიშვილი, რომელიც აფხაზეთის ო[illegible]ონაწილეობდა, თქვენ ღირსების ო[illegible]ენით დააჯილდოვეთ, ორი თვის შემდეგ კი იგი აიძულეს ტელევიზიიდან წასულიყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ხომ პირველ რიგში თქვენი შეურაცხყოფაა.

ალბათ საკითხავია, რას ითხოვს მ.ბერაძე. სხვებივით თანამდებობას, ხელფასის, პრემიის, ჰონორარის მომატებას, ფართო კაბინეტს, მთავრობის ჯილდოებს? რასაკვირველია, არა. ითხოვს ერთს: მისცენ უფლება, რომ ამ გასაცოდავებულ ქვეყანაში, პროგრამა მაცნეში ისაუბროს მიკროელექტროსადგურებზე, მცირე ჰესებზე, ბიოდანადგარებზე, ერთი სიტყვით, ყოველივე იმაზე, რასაც საგრძნობი შვების მოტანა შეუძლია ჩვენი გატანჯული მოსახლეობისათვის, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, მას ამის საშუალებას არ აძლევენ. ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია.

პატივისცემით: ნოდარ გრიგალაშვილი — გაზეთ საქართველოს მთავარი რედაქტორი, სოსო გოგინაშვილი — გაზეთ ახალი თაობის მთავარი რედაქტორი, მალხაზ მაცაბერიძე — გაზეთ ჯორჯიან ტაიმსის მთავარი რედაქტორი, ხატუნა მაისაშვილი — გაზეთ 7 დღის რედაქტორი, ზაზა ჯლარკავა — გაზეთ მიმომხილველის რედაქტორი, სოსო სიმონიშვილი — გაზეთ დრონის რედაქტორი, ცირა კუპატაძე — გაზეთ ქალთა გაზეთის რედაქტორი, ბონდო ჭურღაძე — გაზეთ შანსის რედაქტორი, ლაშა ტუღუში — გაზეთ რეზონანსის რედაქტორი, თემურ მეტრეველი — გაზეთ დილის გაზეთის რედაქტორი, მალხაზ პატარაია — გაზეთ ივერიის რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელი, ირაკლი ტაბლიაშვილი — გაზეთ მსგეფსის რედაქტორი, ბარბარე გრიგალაშვილი — გაზეთ — ივერია ექსპრესის რედაქტორი, ვასილ მაღლაფერიძე — გაზეთ კავკასიონის მთავარი რედაქტორი, სოსო ცინცაძე — ჟურნალ პოლიტიკის მთავარი რედაქტორი, მერაბ ბალარჯიშვილი — ახალგაზრდა ივერიელის რედაქტორი.

# რესპუბლიკის სახელით

პირველი გვერდიდან

... მგზავრებმა ადგილები დაიკავეს. მაგრამ თვითმფრინავი მაშინვე არ აფრენილა მეტეოროლოგიური პირობების გამო. „ახლადდაქორწინებულებმა" და მათმა თანმხლებმა პირებმა თამაში განაგრძეს — „ქორწილი" თვითმფრინავშიც გააგრძელეს. მხიარულობდნენ, სვამდნენ შამპანურს, ეწეოდნენ, დადიოდნენ სალონში, ხმამაღლა ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, ხუმრობდნენ...

15 საათსა და 43 წუთზე თვითმფრინავმა კურსი ბათუმისაკენ აიღო.

თვითმფრინავის აფრენიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ბანდიტებმა შეუმჩნევლად დაიწყეს იარაღის განაწილება.

შემდეგ კი მოვლენები სწრაფად განვითარდა:

16 საათსა და 13 წუთზე კახა ივერიელი და იოსებ წერეთელი წამოდგნენ თავიანთი სავარძლებიდან და გაემართნენ პილოტთა კაბინისაკენ. ეს პირობითი ნიშანი იყო დანარჩენებისათვის.

გრიგოლ ტაბიძემ პაატა ივერიელს წასჩურჩულა, წინ მჯდომი მამაკაცი, ალბათ, მილიციის თანამშრომელია, თვითმფრინავს რომ დაჰყვება და იგი უნდა გავაუვნებლოთო. პ. ივერიელმა ხელი დასტაცა შამპანურის ბოთლს და თავში ჩაარტყა მამაკაცს. შემდეგ, უკვე სასიკვდილოდ დაჭრილ მგზავრს, მიბრჯით ესროლა გ.ტაბიძემ. ასე მოკლეს ალუდა სოლომონია, „რუსთაველის" სამმართველოს უფროსი.

პირველ სროლას მოჰყვა რამდენიმე სხვა გასროლაც. ტაბიძემ სამოქალაქო ავიაციის პილოტის ფორმაში გამოწყობილი მგზავრი შენიშნა. იგი აღმოჩნდა ა.პლოტკა — ეკიპაჟის წევრად მიიჩნია და სამჯერ ესროლა მას. პლოტკას ესროლა დ.მიქაბერიძემაც. მანვე ესროლა სავარძლიდან წამომდგარ მგზავრს გვალიას. ორივე მძიმედ დაიჭრა (გვალიას აქამდე, ცხრა თვის შემდეგ, სტაციონარულად მკურნალობენ).



კადრი ფილმიდან „ლაზარე" — გეგა კობახიძე

პაატა ივერიელმა და კობახიძემ ხელყუმბარები აღმართეს და მგზავრებს დაემუქრნენ, რომ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში თვითმფრინავს ააფეთქებდნენ და უბრძანეს, იატაკზე გაწოლილიყვნენ. კახა ივერიელი წერეთელთან ერთად, იარაღის მუქარით, აიძულებს ბორტგამცილებელ ვ.კრუტიკოვას დაეხმაროს მათ შეაღწიონ პილოტთა კაბინაში. ის რაც ხდებოდა მგზავრების სალონში, ეკიპაჟმა ჯერ კიდევ არ იცოდა: ძრავების ხმაური და დაჯავშნული ტიხარი ახშობდა სროლის ხმას. ვ.კრუტიკოვას დაკაკუნებაზე პილოტთა კაბინის კარი გააღო შტურმან-ინსპექტორმა ზ.შარბათიანმა. მაშინვე, ხმის ამოუღებლად, მას ესროლეს ერთხელ ტაბიძემ და ექვსჯერ კახა ივერიელმა. დამნაშავენი მისცვივდნენ პილოტებს, რომლებიც თვითმფრინავს მართავდნენ. თავისი ადგილიდან წამომხტარი ბორტმექანიკოსი ანზორ ჭედია იქვე მოცელა ტაბიძის ტყვიამ. და მაშინ შტურმანის სამუშაო ადგილიდან, რომელსაც ჩვეულებისამებრ ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული, გაისმა საპასუხო გასროლა. შტურმანმა ვ.გასოიანმა, რომელმაც ელვის სისწრაფით შეაფასა სიტუაცია, პირველივე გასროლით მოკლა გ.ტაბიძე, მძიმედ დაჭრა კ.ივერიელი და ი.წერეთელი.

სიტუაცია კი მეტად დიდ საფრთხეს ქმნიდა — მოსალოდნელი იყო მართვის დაკარგვა, კაბინის ჰერმეტიზაციის დარღვევა, ხანძარი და თვითმფრინავის ჟანგბადის სისტემის აფეთქება.

ვ.გასოიანის მოქმედებამ შესაძლებლობა მისცა ეკიპაჟს კაბინაში შეეყვანა სასიკვდილოდ დაჭრილი ზ.შარბათიანი და ჩაეკეტა კარი. თვითმფრინავის მეთაურმა ა.გარდაფხაძემ უბრძანა პილოტ-სტაჟიორს ვ.გაბარაევს თვითმფრინავი სხვადასხვა მხარეს გადეხარა და ამით ხელი შეეშალა ბანდიტების შემდგომი მოქმედებისათვის, დაუკავშირდა დედამიწას და დაჯდომის ნებართვა ითხოვა.

თვითმფრინავმა კურსი თბილისისაკენ აიღო.

მიქაბერიძემ უწესრიგო სროლა დაიწყო. შემდეგ პისტოლეტის ტარი ჩაარტყა ბორტგამცილებელ ი.ხიმიჩს. კობახიძე კი თმებში სწვდა ქალს და სავარძელს დაახლა.

სალონებში ისმოდა დაჭრილთა კვნესა, ბავშვის ტირილი, ითხოვდნენ შველას.

დაიჭრნენ ა.მელიევა, ე.შალუტაშვილი, ბორტგამცილებელი ი.ხიმიჩი, მგზავრები ი.კილაძე, ი.ინაიშვილი, ი.კუნდარენკო.

თ.ფეტვიაშვილმა გაიხედა ილუმინატორში და თანამზრახველებს გასძახა, თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში ეშვებაო. ეს რომ გაიგო, დ.მიქაბერიძემ თავი მოიკლა.

თვითმფრინავის შასი ბეტონის ზოლს შეეხო 16 საათსა და 40 წუთზე.

თავდასხმის დაწყებიდან გავიდა 27 წუთი. მაგრამ დრამის დასასრულს ჯერ კიდევ ბევრი აკლდა.

როცა მიხვდნენ, თუ რა საშინელ ისტორიაშიც გაეხვივნენ, ე.შალუტაშვილი და ა.მელიევა, აგრეთვე ბორტგამცილებელი ი.ხიმიჩი, სიცოცხლის რისკით ჯერ კიდევ ზოლზე მოძრავი თვითმფრინავის სათადარიგო ლიუკიდან გადმოხტნენ. ეს ვერ მოასწრო ბორტგამცილებელმა ვ.კრუტიკოვამ — იგი სწორედ ამ დროს იმსხვერპლა წერეთლის ტყვიამ.

შეტაკების 27 წუთი და უსასრულოდ მღელვარე თოთხმეტი საათი აეროპორტში...

გრძელი თოთხმეტი საათი, სანამ ბანდის ცოცხლად დარჩენილი მონაწილეების შეპყრობა და გაუვნებლება მოხერხდებოდა.

14 საათს მიმდინარეობდა ბანდიტებთან მოლაპარაკება. აეროპორტში მოიყვანეს მათი მშობლები. შვილებმა მათ თვითმფრინავთან მიახლოების საშუალებაც კი არ მისცეს — აფეთქებით იმუქრებოდნენ. გამტაცებლებს წინადადება მისცეს დანებებულიყვნენ. ეს დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოება იქნებოდა. და ბოლოს სთხოვეს, დაჭრილები და მცირეწლოვანი ბავშვები მაინც გაეთავისუფლებინათ.

გამოძიების მასალებიდან:

„ბანდის წევრები პ.ივერიელი, კობახიძე, ფეტვიაშვილი, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს საჰაერო ხომალდი და მგზავრები მძევლებად დაიტოვეს, ტერორით აშინებდნენ მათ, უკრძალავდნენ ადგილებიდან წამოდგომას, დაჭრილებისათვის დახმარების გაწევას, წყლის დალევასა და ტუალეტით სარგებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ წლინახევრის ბავშვის მოკვლით, ყველანაირად ამცირებდნენ ადამიანის ღირსებას. ფეტვიაშვილმა ხელყუმბარა და რევოლვერი გადასცა კობახიძესა და პ.ივერიელს და თვითმფრინავის ღია ლიუკიდან მოითხოვდა აეროპორტის წარმომადგენლებისაგან საჰაერო ხომალდის საწვავით გაწყობას, ეკიპაჟის შეცვლას და საზღვარგარეთ გაშვებას. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა: მგზავრებს დავხოცავთ და თვითმფრინავს ავაფეთქებთო".

მოწმეთა ჩვენებებიდან:

ლ.დარჩიძე: „ყველა მგზავრი აიძულეს, ილუმინატორები დაეფარათ



ხელებითა და სხეულით, რათა ეჩვენებინათ, რომ ჩვენ კიდევ ცოცხლები ვართ".

ვ.ბასილიძე: „რომელიღაც მგზავრმა პ.ივერიელს ტუალეტში გასვლის ნება სთხოვა, ამაზე მან უპასუხა: „სულ ერთია, ყველა მგზავრი მალე მოკვდება, ამიტომ ნუ მოგერიდებათ და მოთხოვნილებები აქვე დაიკმაყოფილეთო".

გ.გაჩავა: „ბანდიტები იმუქრებოდნენ, რომ ყოველ ხუთ წუთში დახვრეტდნენ თითო მგზავრს..."

ნ.ბასილაძე" „მე თვითმფრინავის კართან დამაყენეს სათვალთვალოდ, ბანდიტებმა გამაფრთხილეს, რომ თუ გაქცევას შევეცდებოდი, შვილს მომიკლავდნენ. ... მგზავრებს შორის იყო ექიმი, რომელიც ცდილობდა დახმარება გაეწია ერთი ქალისათვის, მაგრამ დამნაშავეებმა მას წამლის მიცემის ნებაც კი არ მისცეს".

ი.კუნდერენკო: „თვითმფრინავი რომ დაეშვა, ჩემს სავარძელზე დაჯდა პაატა ივერიელი. მე იატაკზე დავწექი... „რა, დაჭრილი ხარ? — მკითხა, — მაჩვენე სადა ხარ დაჭრილი. მე ექიმი ვარ..." ჭრილობა დაათვალიერა და თქვა: „მძიმედ ხარ დაჭრილი. ალბათ, ველარც გადარჩები... თუ გინდა, გესვრი, რომ არ იწვალო..."

ლ.დარჩიძე: ...ერთ ქალს ბავშვი ეჭირა... „გაქცევა არ იფიქრო, — მიმართა მას პაატამ, — თორემ მაგ შენ შვილს ყურებს დავაჭრით და მოვხარშავთ, სისხლს შენ დაგალევინებთ, ხორცს ჩვენ შევჭამთ..."

... როცა ნათელი გახდა, რომ მიღებული ზომები უშედეგოა, გადაწყდა ბანდიტების გაუვნებლება. რადაც უნდა დამჯდარიყო, ეს უნდა მოეხდინათ, რადგან ყოველ საათს ბანდიტები სულ უფრო რწმუნდებოდნენ გამოუვალ მდგომარეობაში და მზად იყვნენ, გადაედგათ უკიდურესი ნაბიჯი. საჭირო იყო მგზავრების ხსნა.

ოპერაცია დაიწყო დილის 6 საათსა და 27 წუთზე და დამთავრდა 6 საათსა და 35 წუთზე. ბანდის წევრები გააუვნებლეს და თვითმფრინავიდან გამოიყვანეს 8 წუთში!

და აი სასამართლო.

საქმეს საჯარო სასამართლო სხდომაზე იხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია თეიმურაზ გერსამიას თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების, სოციალისტური შრომის გმირის, სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშის კონსტანტინე ილურიძისა და „საქკოლპროექტის" ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის თენგიზ ნიშნიანიძის, სახელმწიფო ბრალმდებლის ვლადიმერ იოსელიანის, საზოგადოებრივ ბრალმდებელთა — თბილისის ავიაქარხნის წარმომადგენლის თემურ ლელაძისა და პედაგოგ თინა ოთხვანის, ადვოკატების მიხეილ ალხაზიშვილის, თემურ გვიშიანის, ლიანა მატკავას, ომარ მდივნიშვილის, ვახტანგ შონიასა და რევაზ იაშვილის მონაწილეობით.

განსასჯელთა სკამზე არიან:

კახა ვაჟას ძე ივერიელი, 29 წლისა, ექიმი თერაპევტი, გარდაბნის რაიონის სოფელ ახალსოფლის ამბულატორიის ყოფილი გამგე.

პაატა ვაჟას ძე ივერიელი, 27 წლის, ექიმი ქირურგი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ქირურგიის კათედრის ყოფილი კლინიკოს-ორდინატორი.

გერმანე მიხეილის ძე კობახიძე, 23 წლისა, კინოსტუდია „ქართული ფილმის" ყოფილი მსახიობი.

თინათინ ვლადიმერის ასული ფეტვიაშვილი, 19 წლისა, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის III კურსის სტუდენტი.

თეიმურაზ ვლადიმერის ძე ჩიხლაძე, 33 წლისა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ყოფილი ღვთისმსახური.

უყურებ ამ სახეებს და გაოცებული ხარ: ამ ადამიანებს თითქოს არც არაფერი განუცდიათ — არც „მეგობრების" სიკვდილი, არც ფსიქოლოგიური ტრავმა, არც გასამართლების მტანჯველი მოლოდინი, თითქოს ცხრა თვის წინათ მათ არ მოეწყოთ ეს სისხლიანი ტრაგედია.

თვალს ადევნებ პროცესს და გიჭირს დაიჯერო, რომ ყოველივე ეს ნამდვილად მოხდა, რომ შეიძლება ადამიანი ამ დონემდე დაეცეს, ასე დაკარგოს სახე, დაკარგოს ის, რისთვისაც საერთოდ, უწოდეს ადამიანი — სიკეთე, გულისხმიერება, თვისტომთა თანადგომა; რომ აღარაფერი ვთქვათ — სამშობლოს სიყვარულზე, პატრიოტიზმზე.

ისინი სხედან და საზარელი დეტალების თხრობისას იცინიან კიდეც...

სასამართლო პროცესი ყოველ საათს, ყოველ დღეს აშკარავებდა მათს ნამდვილ სახეს.

კახა და პაატა ივერიელები ღვიძლი ძმები არიან, ორივე ექიმია. ორივემ დაამთავრა მოსკოვის პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი.

რესტორნებსა და მეგობრების წვეულებებზე დამყოლ ქალიშვილებთან ერთად გამუდმებულ ქეიფში ფლანგავდნენ ცხოვრებას კახა და პაატა ივერიელები, ჰიპერტროფულად დიდი ყურადღებას უთმობდნენ სექსს. თუ რის სუნთქავდნენ ორივენი, რით საზრდოობდნენ, ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ კ.ივერიელის მიერ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს მიცემული ჩვენებებით. — ..... უნივერსიტეტში სწავლის 7 წლის მანძილზე საბოლოოდ შევიძულე ყოველივე საბჭოური და ყველანაირად მზად ვიყავი საზღვარგარეთ გასაქცევად".

კახა ივერიელი ზ.შარბათიანის მკვლელობის თანამონაწილეა. პაატა კი შეიარაღებული თავდასხმის წამომწყები და ა.სოლომონიას მკვლელობის თანამონაწილე. ორივე ძმა გამოირჩეოდა მძევლებისადმი სასტიკი და ცინიკური დამოკიდებულებით.



გერმანე კობახიძე 23 წლისა, კინოსტუდია „ქართული ფილმის" მსახიობი თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულია. გეგას, როგორც მას ახლობლები ეძახდნენ, უდავოდ ჰქონდა აქტიორული ნიჭი, მაგრამ უეჭველად იყო სხვა რამეც: მერყევი ფსიქიკა, რელიგიური დოგმების, და არა მარტო მათი თაყვანისცემა.

გეგა კობახიძის პაპა დიდ სამამულო ომში დაიღუპა, შვილიშვილმა კი თავისი ოთახის კედლები ფაშისტური სვასტიკით მოხატა, ატარებდა ჰიტლერელთა არმიის კაპელანის ლითონის ჯვარს. მის სახლში ბანდის წევრები პისტოლეტის სროლაში ვარჯიშობდნენ. მის ბინაში აღმოჩნდა გაფრენისწინა [illegible] ბები და თვითმფრინავების მოძრაობის დეტალური გრაფიკი. სწორედ მას ეკუთვნის „საქორწილო" მოგზაურობის ინსცენირების — საბოლოოდ სისხლიანი ტრაგედიის მთელი ორგანიზაცია, თვითმფრინავში იარაღის შეტანის იდეა, ისევე, როგორც მონაწილეობა მის შეძენაში. იკისრა რა ჯგუფის იდეური სულისჩამდგმელის როლი, იგი აქტიურობას ამჟღავნებდა ყველა საქმეში, მოითხოვდა, რომ მთელ ჯგუფს ერთსულოვნად, ერთი კაცივით ემოქმედა. თვითმფრინავში გამოირჩეოდა მგზავრებისადმი განსაკუთრებით სასტიკი და ცინიკური დამოკიდებულებით, აშინებდა მათ, რომ ხელყუმბარით ააფეთქებდა თვითმფრინავს.

თინათინ ფეტვიაშვილი, 19 წლისა, თბილისის სამხატვრო აკადემიის მესამე კურსის სტუდენტი. ვიოლინოს დაკვრას, ფერწერას სწავლობდა, თითქოს მის გატაცებებს იგი მგრძნობიარე, სულიერად მდიდარი უნდა გაეხადა. მაგრამ, როგორც ჩანს, მხოლოდ ვიოლინოსა და ფერებში როდია ამაღლებული სულის საიდუმლო. საქმე ის არის, რა ხელს უჭირავს ფუნჯი, საკრავი!

მეუღლის გერმანე კობახიძისა და მისი მეგობრების გავლენით თინასაც მოესურვა „ლამაზი ცხოვრება" დასავლეთში და მზად იყო ნებისმიერი გზით მიეღწია ამ მიზნისათვის. ქალიშვილის პიროვნებაზე გამხრწნელი გავლენა მოახდინა მისი ცხოვრების წესმა — რესტორნებმა, იმპორტული ნივთების კულტმა, ბოჰემის გაფეტიშებამ. ნელ-ნელა დაიწრიტა სიკეთისა და სათნოების წყარო, ნელნელა დაისადგურა სულში სიცარიელემ, ამაოებამ, გულგრილობამ. დაგვეთანხმებით, ძნელია, ცხრამეტი წლის გოგონა არ შეაძრწუნოს იმ სისასტიკემ, რომელსაც წააწყდა ბანდიტური თავდასხმის დროს. მაგრამ ფეტვიაშვილი არათუ შეძრწუნდა, თვითონ მონაწილეობდა ოპერაციაში ისევე აუღელვებლად, როგორც წინათ, მთელ კომპანიასთან ერთად ჩანაფიქრის განხორციელებისათვის ემზადებოდა, ვარჯიშობდა სროლაში...

დავით მიქაბერიძე — თბილისის სამხატვრო აკადემიის მეოთხე კურსის სტუდენტი, 25 წლის იყო. სტუდენტის ჩვეულებრივი სტიპენდიის პატრონს არცთუ ირონიული მეტსახელი ჰქონდა — ფინანსისტი. მშობლები არაფერზე ეუბნებოდნენ უარს ვაჟს. ძვირფასი ნივთებით ასაჩუქრებდნენ, დიდძალ ფულს აძლევდნენ. კაცმა არ იცის რა გზით მიღწეულ ფუფუნებაში განცხრომით მცხოვრები შვილი აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდა, ლოთობდა, დებოშებს ტეხდა. მისი ბინა იყო თავისებური კლუბი, სადაც ძმაკაცები და მეგობარი გოგონები უყურებდნენ ვიდეოფილმებს, ხოტბას რომ ასხამენ პორნოგრაფიას და ძალადობას. სწორედ დ.მიქაბერიძის ნაშოვარი ფულით შეიძინეს იარაღი ბანდის წევრებმა. დანაშაულებრივი აქციის დროს სწორედ მან ესროლა პლოტკას და გვალიას.

იოსებ წერეთელი — თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული, 25 წლის იყო, ი.წერეთელს რატომღაც მიაჩნდა, რომ მისთვის ყველაფერი დასაშვები იყო: ხულიგნური გამოხდომებიც, ჩხუბიც, დებოშიც. სამხატვრო აკადემიის მიერ გაცემულ დახასიათებაში აღნიშნულია: „... გამოირჩეოდა არაორგანიზებულობით, პასიური დამოკიდებულებას ავლენდა სწავლისადმი. საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ მონაწილეობდა, ხშირად მეცადინეობაზე მთვრალი ცხადდებოდა..." ი.წერეთელი ბანდაში ლიდერის როლს იჩემებდა. მას ეკუთვნის თვითმფრინავში იარაღის შეტანისათვის ა.ვარსიმაშვილის გამოყენების იდეა. პისტოლეტის ტყვიით მოკლა ბორტგამცილებელი ვ.კრუტიკოვა.

გრიგოლ ტაბიძე 32 წლის იყო. რეციდივისტი, ნარკომანი, მუქთახორა გ.ტაბიძე სამჯერ იყო ნასამართლევი ძარცვის, მანქანის გატაცების, ბოროტი ხულიგნობისათვის, გამოსაფხიზლებელში გრიგოლი „შინაური" კაცი

იყო. მიისწრაფოდა საზღვარგარეთ, მდიდარი ნათესავებისაკენ. მან, თვითმფრინავში სისხლიანი ტრაგედიის ერთ-ერთმა წამომწყებმა, ესროლა ა.სოლომონიას, ა.პლოტკას, ზ.შარბათიანს, ა.ჭედიას.

და დადგა დრო, უფრო დაწვრილებით ვილაპარაკოთ კიდევ ერთ განსასჯელზე, რომლის ფიგურაც გარკვეულ დრომდე ჩრდილში იყო. ყოველ შემთხვევაში, არ ხსენებულა თვითმფრინავში მომხდარ საბედისწერო ამბებთან დაკავშირებით.



თეიმურაზ ჩიხლაძე, მამა თეოდორე, როგორც თავის თავს უწოდებდა; მის მიერ შეკოწიწებული ბანდის „სულიერი მამა“; თეორეტიკოსი, ორგანიზატორი და დანაშაულებრივ მოქმედებათა წამქეზებელი. ახალგაზრდობაში „ჰიპების“ წინამძღოლად წარმოიდგინა თავი, ფიზიკურად მოეშვა, ნარკოტიკებს ხმარობდა, მოგვიანებით, როცა ეკლესიის სავანეში გადაინაცვლა, დაიწყო მისი სულიერი გახრწნაც. ჩიხლაძემ, რომელიც რეგულარულად უსმენდა სხვადასხვა საზღვარგარეთული რადიოსადგურის გადაცემებს, განიზრახა, შეექმნა ჯგუფი ისეთი ადამიანებისაგან, რომლებიც, ისევე როგორც თვითონ, ოცნებობდნენ მუდმივად საცხოვრებლად გადასულიყვნენ კაპიტალისტურ ქვეყნებში — ნებისმიერი ხერხით, აშკარა ტერორის გზითაც კი. და მან ასეთი თანამზრახველები იპოვა მომხდარი ტრაგედიის დამნაშავეთა სახით.

თავისი „ავტორიტეტულობა“ თავმომწონედ დაადასტურა სასამართლოზე: „მიქაბერიძემ და წერეთელმა არაერთხელ მთხოვეს კობახიძის მიღება ჩვენს ჯგუფში, მიმტკიცებდნენ, რომ იგი მზად არის ნებისმიერი დანაშაულისათვის, ოღონდ საზღვარგარეთ წავიდეს... ბოლოს დავეთანხმე...“

თანამზრახველები ერთში შეთანხმდნენ: თუ დასავლეთში გადავიდოდნენ, ასე ვთქვათ, მშვიდობიანი გზით, არავისთვის ოდნავ საინტერესონიც კი არ იქნებოდნენ. სხვა საქმეა თუ მიზანს მივაღწევთ ძალადობის აქციის გზით. ასეთ შემთხვევაში საზღვარგარეთ აუცილებლად უზრუნველყოფილი გვექნება მორალური და მატერიალური მხარდაჭერაო, — ფიქრობდნენ. ასე მზადდებოდა ჯგუფური ბანდიტიზმი.

სწორედ ჩიხლაძემ დაუსახა მიზნად დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა. სწორედ იგი აპირებდა შეეტანა იარაღი თვითმფრინავში ანაფორის ქვეშ. არც თვით მამა თეოდორეს, არც მის „სამწყსოს“ არ აწუხებდათ, რომ ერთს ქადაგებდნენ, სწამდათ კი სულ სხვა: რომ ეკლესიის ერთ-ერთი მცნება „არა კაც ჰკლა“ მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა მათს ზრახვებს, შემდეგ საქმით რომ განახორციელეს, სისხლიანი საქმით...

როგორ მოხდა, რომ ჩიხლაძე, ბანდის მეთაური, იმ დღეს, როცა ჰაერში ტრაგედია დატრიალდა, თვითმფრინავში არ აღმოჩნდა. უფრო მეტიც: მას ეჭვადაც კი არ ჰქონია, რომ მის მორჩილებას თავდაღწეულმა „სამწყსომ“ გადაწყვიტა ემოქმედა, როგორც იტყვიან, საკუთარი რისკით. ეს ფაქტი, მჭერმეტყველურად მოწმობს, თუ რა ურთიერთობა ჰქონდათ თანამზრახველებს...

მაგრამ ფაქტი მოითხოვს არამარტო კონსტატაციას, არამედ ახსნასაც. რატომ მოხდა განხეთქილება ბანდიტური ჯგუფის მეთაურსა და წევრებს შორის? მიზეზი ორია: ჯერ ერთი ის, რომ დროთა განმავლობაში მამა თეოდორეს წინაშე წარმოიშვა შესაძლებლობა საზღვარგარეთ წასულიყო ეკლესიის ხაზით და მან დაიწყო თვითმფრინავის ხელში ჩაგდების საბოლოო გადაწყვეტილების გაჭიანურება. მეორეც ის, რომ მამა თეოდორე თავისი ბანდის წევრებისაგან მოითხოვდა უწინდელ მორჩილებას იქ, დასავლეთშიც. ეს უკვე ხელს არ აძლევდა ზემოთ დასახელებულ, არც ერთ ტერორისტს, რომლებიც ზურგს უკან დასცინოდნენ კიდეც თავიანთ წინამძღოლს. ისინი ოცნებობდნენ, რომ საზღვარგარეთ პირდაპირ ფუფუნებაში გადაეშვებოდნენ და სულიერი მოძღვარი იქ უკვე აღარ დასჭირდებოდათ.

რატომ აირჩიეს განსასჯელებმა თავიანთი მიზნების განსახორციელებლად მაინცდამაინც ძალმომრეობის გზა? — ლოგიკურად დაისვა კითხვა პროცესზე.

პასუხი უეჭველს ხდის ბანდიტური აქციის წინასწარგანზრახულობას. შემაძრწუნებელია ამ გზის მოფიქრების არაადამიანური სისასტიკე: ბანდიტებს გეზი ამერიკის შეერთებული შტატებისაკენ ეჭირათ. იქ კი, მოგეხსენებათ, „სისხლით შეუღებავი“ გზით თავს ვერ მოიწონებ, ამიტომ საჭიროა სწორედ „ბრძოლით“ მიაღწიო მიზანს, და ამის ნივთმტკიცებად წარადგინონ ნადავლი საბჭოთა თვითმფრინავი დახოცილი მგზავრებით. ბანდიტები დარწმუნებული იყვნენ, რომ ამ შემთხვევაში მათს აქციას იქ ისევე შეხვდებოდნენ, როგორც რეციდივისტ ბრაზინსკასების მიერ ჩადენილ სისხლიან დანაშაულს — ბორტგამცილებელ ნადეჟდა კურჩენკოს მკვლელობას.

კ.ივერიელი: „... გვინდოდა ამერიკელების გული მოგვეგო თვითმფრინავის გატაცებით... დარწმუნებული ვიყავით, რომ თავისიანებად მიგვიღებდნენ... გვინდოდა, იქ რადიოთი გამოვსულიყავით და წინასწარ ვიცოდით, რომ ცილს დავწამებდით სამშობლოს“.

ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ: მოქმედი საერთაშორისო დებულება ითვალისწინებს, რომ საჰაერო ხომალდში ჩადენილი დანაშაული, მათ შორის ძალადობის აქტები, რომლებსაც მსხვერპლი და თვითმფრინავის დაზიანება მოჰყვება, საერთაშორისო დანაშაულია, თუნდაც იგი ჩადენილი იყოს სახელმწიფოს შიგნით რეისის დროს; იგივე ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთი დანაშაულისათვის სიკვდილს მიუსჯიან, ხოლო თუ არის დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოება, ამ შემთხვევაში, 20 წლის კატორღას.

რაც შეეხება სისხლის სამართლის დამნაშავეებისათვის ხელის დაფარებას, როგორც ბრაზინსკასების შემთხვევაში მოხდა, ეს სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა დარღვევაა, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს საერთაშორისო ურთიერთობას.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით გამოქვეყნებული განაჩენი ცნობილია: თ.ჩიხლაძეს, კ. და პ.ივერიელებს, გ.კობახიძეს მიესაჯათ სასჯელის განსაკუთრებული ზომა, თ.ფეტვიაშვილს — თოთხმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის კოლონიაში, ა.ვარსიმაშვილს თავისუფლების აღკვეთა სამი წლით პირობით.

დანაშაულებრივი ჯგუფის თითოეულ წევრს წაყენებული აქვს ბრალდება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 4-5 მუხლების მიხედვით, რომელთაგან ორი 78-ე მუხლი (ბანდიტიზმი) და 242 მეორე მუხლი (საჰაერო ხომალდის გატაცება) ითვალისწინებს სასჯელის უმაღლეს ზომას — სიკვდილით დასჯას ქონების კონფისკაციით. განაჩენი ამის საფუძველზეა გამოტანილი.

განაჩენი საბოლოოა, გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

თხოვნა შეწყალების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უარყო.

* * *

არ არის რესპუბლიკაში კაცი, მომხდარი რომ გულთან ახლოს არ მიეტანოს. არ შეიძლება საზოგადოება არ აღელვოს ქმედებამ, რომელიც მას ეხება, მით უმეტეს, რომელიც მის წინააღმდეგ არის მიმართული — ანტისაზოგადოებრივმა ქმედებამ.

გავიხსენოთ როგორ აღელვა, შესძრა რესპუბლიკის მშრომელები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილმა აეროპორტში მომხდარი ტრაგედიის შესახებ. პარტიულ და კომკავშირულ კრებებზე, ათასობით წერილში ერთსულოვნად მოითხოვდნენ, მკაცრად დაესაჯათ დამნაშავენი, ყველაფერი გაკეთებინათ, რომ აღარასოდეს განმეორდეს მსგავსი რამ.

გამოხატავდნენ სიამაყეს თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრების მიერ გამოჩენილი გმირობისა და მამაცობის, მათი პატრიოტული და სამსახურებრივი მოვალეობისადმი უსაზღვრო ერთგულების გამო. მათი გმირობა მაღალი სახელმწიფო ჯილდოებით არის აღნიშნული, მათი საქციელი გახდა ჰუმანიზმის, იდეური სიმტკიცის, ჩვენი ხალხის ინტერნაციონალური შეკავშირების განსახიერება. მაგალითი იმისა, რომ ისინი მზად არიან უყოყმანოდ შეებრძოლონ იმათ, ვინც თავისი მდაბალი მიზნების გამო დაკარგა ადამიანის სახე.

ახლა რა ზნეობრივი სიმტკიცე, გამძლეობა და ნებისყოფა გამოამჟღავნეს ბანდიტების მიერ 14 საათის განმავლობაში ნაწამებმა მგზავრებმა...

უკვე ითქვა, რომ გადაცემის დამთავრებისთანავე ტელესტუდიაში განუწყვეტლივ წკრიალებდა ტელეფონი. ამდენ ზარს შორის იყო ფრიად „ავტორიტეტული“ ზარიც: განაჩენი სულაც არ არის საეჭვო, მაგრამ განა საჭიროა კიდევ მსხვერპლი?

მაგრამ არის კი ეს მსხვერპლი?

დასჯა თვითმიზანი როდია: იგი საზოგადოების სახელით მართლმსაჯულების მიერ ჩადენილისათვის მიცემული კვალიფიკაციაა, მართლმსაჯულების მიზანია ამკვიდრებდეს სამაგიეროს მიზღვის გარდუვალობის პრინციპს. საზოგადოებრიობა ვერ იარსებებს, თუ მტკიცედ არ იქნა დაცული ეს პრინციპი. ბოროტმოქმედების უპასუხოდ დატოვება უკვე თავად არის სოციალურად საშიში!

სიტუაციას ფხიზლად უნდა შევხედოთ. ამ შემთხვევაში გულმოწყალება გულმოწყალებისათვის აბსტრაქტული ჰუმანიზმია. იგი ნაყოფს არ იძლევა!

რა თქმა უნდა, გარკვეული ფსიქოლოგიური მომენტის გათვალისწინებით შეიძლება თავი წარმოვიდგინოთ მსჯავრდებულთა მშობლების ადგილას, მაგრამ შეიძლება და კიდევაც უნდა წარმოვიდგინოთ თავი იმათი ნათესავებისა და ახლობლების ადგილას, ვინც უდანაშაულოდ, ტყუილუბრალოდ, საზარლად დაიღუპა, ფიქრობდა კი ამაზე ის, ვინც დარეკა და ეს საკითხი აღძრა?

როგორიც გინდა იყოს ზნეობრივი მოტივი, ერთი რამ უდავოა: საზოგადოებრივი ავტორიტეტი, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობაა! საკითხისადმი ფხიზლად მიდგომა მოითხოვს მკვეთრად დავსვათ კითხვა, რაში ვხედავთ, როგორ გვესმის ჩვენი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე!

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ადამიანს ზრდის, პიროვნებას აყალიბებს არა თავისთავად ცოდნა, შესაძლებლობები და პირობები, არამედ ცოცხალი გარემო, ჩვენი მაგალითი, ოჯახის, კოლექტივის ატმოსფერო.

იცოდნენ ეს, მაგრამ ვერ შეძლეს ამ საზომით მისდგომოდნენ საკუთარი შვილების აღზრდას დამნაშავეთა მშობლები. წარსულში ცნობილი კინორეჟისორი მ.კობახიძე, ასე რომ არის ყველაზე და ყველაფერზე გაავებული, ნიჭი არ დამიფასესო, ვერ ახსნის, რატომ გაზარდა გარეწარი, ჩვენი საზოგადოების მტერი. ასევე გაუჭირდება აგვიხსნას, რატომ აიჩემა და თავისი ქალიშვილები მეორე ცოლთან, რატომ ჩამოაშორა სკოლას? ესე იგი მათი საზოგადოებისაგან ჩამოშორების უფლებაც დაიჩემა, თვითონ წყვეტს გოგონების ბედს... სადამდე მიგვიყვანს ასეთი საქციელი?



გაოცებას იწვევს გ.კობახიძის დედის, როგორც მშობლის, გულგრილობა. მას არ შეიძლება არ შეენიშნა სვასტიკებით მოხატული თავისი ბინა, ტყვიით დაცხრილული კედლები. მაგრამ ვაი რომ დროზე არ ატეხა განგაში, ვერ შეიგნო, რა უფსკრულისაკენ, მორალური დეგრადაციისაკენ უბიძგებდა შვილს თავისი პასიური პოზიციით.

მწარე მაგალითით შეიგნო თავისი ბრალი საზოგადოების წინაშე და თვითონ წავიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ყველასაგან პატივცემული სწავლული კ.წერეთელი. ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის გამგის თანამდებობა დატოვა [illegible] კოსმა ვ.ივერიელმა...

ეს კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებული კონკრეტული შემთხვევაა. მკაცრი გაკვეთილია.

ამასთან გაკვეთილი ჩვენთვის, ყველასათვის!

ასე გაიგო, ასე შეაფასა მომხდარი უმრავლესობამ. ამაზე მსჯელობენ შრომითს კოლექტივებში, წერენ წერილებში.

საზოგადოებრიობის გულწრფელ აღშფოთებას კანონმა რესპუბლიკის სახელით გასცა პასუხი, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, საფუძვლიანი და ამომწურავი პასუხი.

მაგრამ რა დაგვიამებს, რა გაგვინელებს იმ ტკივილს, რომელიც თითოეული ჩვენგანის გულმა განიცადა.

რატომ გახდა ყოველივე ეს შესაძლებელი? ამ კითხვას სვამენ არა მარტო მსჯავრდებულთა მშობლები, არა მარტო მათი ახლობლები, არა მარტო მათ გარშემო მყოფი ადამიანები — კოლეგები, ამხანაგები, პედაგოგები...

პასუხი ამ კითხვაზე — ერთადერთი სწორი, მოქალაქეობრივი სინდისის ტოლფასი პასუხი — ყველამ თავად, საკუთარ თავში, გულსა და გონებაში უნდა იპოვოს.

საქინფორმი

# «ახალგაზრდა კომუნისტის» რედაქციისაგან:

ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელიც გულგრილად, შეუძრწუნებლად აღიქვამს ამ სტრიქონებს, რომლის არსებაშიც გამოუთქმელი ტკივილის გრძნობა მომხდარი ფაქტის გამო აღშფოთებასა და გულისწყრომას არ ერწყმოდეს. ეს გრძნობები უსაზღვროა, ისინი არ გვასვენებენ იმ ავბედითად დასამახსოვრებელი დროის — 18 ნოემბრის შემდეგ, როდესაც ჩვენ ყველანი ვიგებდით ჯერ კიდევ დაუჯერებელი ტრაგედიის დეტალებს. მოსმენილი და გაგონილი ძნელად დადიოდა ჩვენს გონებამდე, არ გვცილდებოდა ერთი აზრი: რა არაადამიანები უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ვინც ასე, საოცრად იოლად ხელყოფდა ადამიანთა სიცოცხლეს.

სამწუხაროდ, ამ გარეწრების არსი ყალიბდებოდა ჩვენს შორისაც. ისინი ჩვენთან ერთად სწავლობდნენ სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში, ჩვენთან ერთად სუნთქავდნენ. ზოგიერთი მათგანი კომკავშირელი იყო და ყოველივე ეს ჩვენ განსაკუთრებულ ტკივილს გვაყენებს, უსაზღვრო აღშფოთებას იწვევს. საკითხავია, რამ უბიძგა მათ ამ დანაშაულისაკენ? საკმარისია დაუკვირდე სასამართლო პროცესზე მათ შემაძრწუნებელ, არაფრისმთქმელ პასუხებს და ყოველივე ნათელი გახდება. ისმის შეკითხვა, რატომ უნდა შეეწიროს ვიღაცის სიხარბის, ავხორცობისა და პატივმოყვარეობის დაუკმაყოფილებელ გრძნობას ადამიანის სიცოცხლე?

დიახ, დღეს სინანულის, ტკივილის უსაზღვრო გრძნობა გვეუფლება, რომ ვერ შევძელით ამ საშინელი ტრაგედიის თავიდან აცილება. რაოდენ დიდია სურვილი, რომ რაღაც საოცრებამ ჟამთასვლა ერთი-ორი წლით უკან დასწიოს და შეიძლებოდეს ყოველივეს სხვაგვარად წარმართვა... მაგრამ!!!

ბანდიტთა მიერ ჩადენილი ამ გაუგონარი სისასტიკის, მისი შედეგების შემსუბუქება, ათასობით ადამიანის გულისა და გონების გათავისუფლება შეძრწუნების სიმძიმილისაგან ძნელად თუ რამეს შეუძლია, მაგრამ სიკეთე ყოველთვის ძლევს ბოროტებას, უთანაბრო ბრძოლაშიც კი და მისი ძალა ღრმა და წარუშლელ კვალს ავლებს ადამიანის არსებაში.

ბანდიტთა ძალმომრეობას მაშინვე დაუპირისპირდა თვითმფრინავის ეკიპაჟის მტკიცე, შეუპოვარი, გმირული მოქმედება. მათ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ათობით ადამიანის, ქალებისა და ბავშვების სიცოცხლე გადაერჩინათ. აეროპორტისაკენ მიმავალი გზიდან ადვილი შესამჩნევია როგორ დგანან მოწიწებით თავდახრილი ადამიანები მამაცთა სიკვდილით დაღუპული ავიატორების საფლავთან...

ყოვლისშემძლეა სიკეთის ძალა და ძნელია იმის დაჯერება, რომ თუ სიკეთეს აკვნიდანვე უნერგავენ, თუ უდიდესი ფუფუნების — ჭეშმარიტი ადამიანური ურთიერთობების მადლს აზიარებენ, თუ ადამიანური სითბოს და არა გაფეტიშებული ნივთების გარემოცვაში გაიზრდება, კაცურ-კაცობის გზიდან გადაუხვიოს ადამიანმა...

ჩვენი საზოგადოებრიობა არაერთხელ დარწმუნებულა იმაში, რომ ჩვენს ახალგაზრდობას ძალუძს სალად, აწონ-დაწონილად შეაფასოს მოვლენები, თვალი გაუსწოროს სიმართლეს, ძალუძს ჩვენი ცხოვრების წესისათვის უცხო და დასაგმობი ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლა. ამის დასტურია ის უამრავი წერილი, რომლებიც აქტუალური, მწვავე, საჭირბოროტო მასალების გამოქვეყნებას მოჰყვება ხოლმე.

მაგრამ იშვიათია ისეთი მყისიერი რეაქცია, როგორიც სატელევიზიო გადაცემის „ბანდიტები“-ს ჩვენებას მოჰყვა. სხვადასხვა ასაკის ადამიანები — ახალგაზრდები და ხანდაზმულებიც აღელვებით გვიზიარებენ და წვეთ-წვეთობით ავსებენ იმ დიდ საწყაოს, რომელსაც საზოგადოებრივი აზრი ჰქვია და რომელიც ყოველთვის უტყუარად გადახრის სასწორის პინას სიმართლისაკენ.

იბეჭდება შემოკლებით.

„ახალგაზრდა კომუნისტი“ 1984წ, 28 აგვისტო

რუსი ეროვნების მოსახლეობის ინტერესებს საქართველოსა და მთელი კავკასიის სამეფისნაცვლოში მტკიცედ იცავდა ცენტრალური ხელისუფლება. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიასა და კერძოდ საქართველოში მცხოვრებმა რუსებმა ცხადად იგრძნეს, რომ მათ პრივილეგირებულ მდგომარეობას დროებითი მთავრობა ვეღარ დაიცავდა. ასეთ ვითარებაში ისინი ჰქმნიან **„ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს“**, რომლის ცენტრალური მმართველობა თბილისში იმყოფებოდა. რუსთა ეროვნული საბჭოს წამყვან ძალას წარმოადგენდა სამღვდელოება, ოფიცრობა, სხვადასხვა დაწესებულების მოხელეები. ამიერკავკასიის დიდ ქალაქებში — სოხუმში, ბათუმში, ერევანში და სხვ. მოქმედებდა რუსთა ეროვნული საბჭოები, რომლებიც ფაქტიურად ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს ფილიალებს წარმოადგენდნენ. დიდი ქალაქების გარდა, თუკი სადმე რუსები კომპაქტურად იყვნენ დასახლებულნი, იქმნებოდა **„რუსთა ეროვნული მმართველობები“**.

ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო თავიდანვე დაუპირისპირდა ქართულ ეროვნულ მოძრაობას და 1917-1921 წლებში მოქმედებდა როგორც ტიპური მეხუთე კოლონა. რუსთა მეხუთე კოლონა დიდი შემართებით ებრძოდა ქართულ სახელმწიფოებრიობას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემაში ლომის წილი სწორედ ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულმა საბჭომ დაიდო.

წინამდებარე წერილში გვინდა მკითხველს გავაცნოთ ზოგიერთი საარქივო მასალა რუსთა მეხუთე კოლონის ანტიქართული მოღვაწეობის ისტორიიდან 1917-1921 წლებში.

## ისტორია როგორც წარსულით წინასწარმეტყველება...

ვახტანგ გურული

# მეხუთე კოლონა

## ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო

### 1. კონფლიქტი ქართულ ეკლესიასთან

ამიერკავკასიის რუსთა ერო-[illegible] საბჭოს იდეური ხელმძღვანელის როლში თბილისის რუსი სამღვდელოება გამოდიოდა.

როცა საქართველოს ეკლესიას რუსი ეგზარქოსი განაგებდა, სასულიერო განათლების საქმე მთელს საქართველოში რუსი სამღვდელოების ხელში იყო. მათ ხელში იყო სასულიერო განათლების უმთავრესი ცენტრი — თბილისის მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარია. სწავლება სემინარიაში რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, თუმცა XX საუკუნის ათიანი წლებისათვის სემინარიის მსმენელთა კონტიგენტის 75 %-ს ქართველები შეადგენდნენ, ხოლო დანარჩენ 25 %-ს — რუსები, ბერძნები, ოსები და სხვა ერების წარმომადგენლები **(საქართველოს პოლიტიკური პარტიების არქივი, ფონდი 8, აღწერა 3, საქმე 276, ფურცელი 2)**. თბილისის სასულიერო სემინარია ცნობილი იყო თავისი ანტიქართული შემართულებით, შოვინისტი რექტორებითა და მასწავლებლებით.

1917 წლის 14 მარტს აღდგენილ იქნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რასაც მტრულად შეხვდა რუსი სამღვდელოება. რუსი სამღვდელოებისათვის მოულოდნელად 1917 წლის 25 ივლისს რუსეთის დროებითმა მთავრობამ სცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ქართული და რუსული ეკლესიების საქმეების გამიჯვნის მიზნით შეიქმნა შერეული სამთავრობო კომისია. კომისიას დაევალა ყოფილი საქართველოს ეგზარქატის კუთვნილი ქონების საკითხის გარკვევა, ასევე საქართველოში არსებული სასულიერო სასწავლებლების დაქვემდებარების საკითხის გადაწყვეტა. მრავალ მიზეზთა გამო სამთავრობო კომისიას არ უმუშავია **(ს. 276, ფ.2-3)**. ცხადია, საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია ხსენებული კომისიის გადაწყვეტილებებს დაუსრულებლად ვერ დაელოდებოდა. 1917-1918 სასწავლო წლის დამდეგისათვის განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სასულიერო სასწავლებლების ნაციონალიზაცია. ახალ 1917-1918 სასწავლო წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში, ისევე როგორც ყველა სხვა სასულიერო სასწავლებელში, სწავლება ქართულ ენაზე დაიწყო. რუსი სამღვდელობა სასტიკად აღაშფოთა თბილისის სასულიერო სემინარიის ნაციონალიზაციამ. ცხადი იყო, რომ იშლებოდა ანტიქართული მოძრაობის ძლიერი კერა. 1918 წლის 21 ივნისს თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ს.მურახოვსკიმ ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ვკითხულობთ: „გასული 1917-1918 სასწავლო წლის დასაწყისში საქართველოს ეკლესიის მმართველობამ მიიღო დადგენილება ყოფილი საქართველოს ეგზარქატის სასულიერო სასწავლებლების ყველა კლასის ნაციონალიზაციის შესახებ. ამასთან ნაციონალიზაცია გატარდა ძალდატანებით, რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლებთან და მოწაფეთა მშობლებთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე. ამის შედეგად რუსი, ბერძენი, ოსი, ასირიელი და სხვა ეროვნების მოწაფეებს, რომლებიც არ ფლობენ ქართულ ენას, საშუალება აღარა აქვთ გააგრძელონ სწავლა“ **(ს. 276, ფ.3)**. სინამდვილეში არავითარ ძალდატანებას ადგილი არ ჰქონია. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ სრულიად ბუნებრივი იყო თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლების დაწყება ქართულ ენაზე, მით უმეტეს, რომ მსმენელთა 75 % ქართველები იყვნენ. უაღრესად მძიმე ეკონომიურ სიტუაციაში ქართულ ეკლესიას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო დაეფინანსებინა ორი — რუსული და ქართული სემინარია. რუსული სემინარიის ბედზე რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის უწმინდეს სინოდს უნდა ეზრუნა. თუ ეს საკითხი სახელმწიფო დონეზე დაისმებოდა, არც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იყო ვალდებული რუსული სასულიერო სემინარიის შესანახი ხარჯები გაეღო. მიუხედავად ამისა, ს.მურახოვსკი იმავე მოხსენებით ბარათში წერდა: „სემინარიის ქართველი ეროვნების აღსაზრდელთა მხრიდან მთელი რიგი ძალდატანებითი მოქმედების შემდეგ, კორპორაციის რუსული ნაწილი იძულებული გახდა უნდობლობა გამოეცხადებინა სემინარიის რექტორისათვის არქიელ კ.კეკელიძისათვის, მოეხსნა ყოველგვარი პასუხისმგებლობა სემინარიის საქმეთა გამო და არაქართველი ეროვნების აღსაზრდელებთან მეცადინეობა დაეწყო დაქირავებულ შენობაში“ **(ს. 276, ფ.4)**. ცხადია, რუსი სამღვდელოება მარტო თავისი თავის იმედად არ იყო, მას ზურგს უმაგრებდა რუსეთის ეკლესია და მისი უწმინდესი სინოდი. ს.მურახოვსკი წერდა: „თბილისის სასულიერო სემინარიის კორპორაციის რუსული ნაწილის ამგვარი მოქმედება სანქცირებული იყო უწმინდესი სინოდის მიერ, რომელმაც 1917 წლის 15 ნოემბრის №9660 ბრძანებულებით თბილისის სასულიერო სემინარია გადააკეთა კავკასიის მართლმადიდებელთა რუსულ სასულიერო სემინარიად“ **(ს.276, ფ.4)**. უწმინდესი სინოდის 1917 წლის 15 ნოემბრის №9747 ბრძანებულებით თბილისის სასულიერო სასწავლებლების (სემინარია და სასწავლებელი) კრედიტი გადაეცა რუსულ სასულიერო სემინარიას. მასვე უნდა გადასცემოდა ყოფილი საქართველოს ეგზარქატის გორის, თელავის, ქუთაისის, ოზურგეთისა და სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლების შენახვისათვის განკუთვნილი ხარჯები, რადგან ეს სასწავლებლებიც საქართველოს ეკლესიის გამგებლობაში გადავიდა. ბრძანებულებაში საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ თბილისის სასულიერო სემინარიის, ასევე სხვა სასულიერო სასწავლებლების შენობები რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის საკუთრება იყო **(ს.276, ფ.4)**. ყველასათვის ცხადი იყო, რომ რუსეთის ეკლესია საქართველოში პოზიციებს ვეღარ აღიდგენდა და ამდენად უწმინდესი სინოდის ორივე ბრძანებულება მხოლოდ ამწვავებდა კონფლიქტს. რუსეთის ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა კავკასიის მართლმადიდებელთა რუსული სასულიერო სემინარიის დაფინანსება ვეღარ შეძლო, რის გამოც სემინარია დახურვის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა. სემინარიის შესანახი თანხა არც ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს აღმოაჩნდა, თუმცა ს.მურახოვსკის თხოვნას დიდი გულისყურით მოეკიდნენ. ს.მურახოვსკი მწუხარებით აღნიშნავდა: „თბილისის რუსული სასულიერო სემინარიის კორპორაციამ აღიარა, რომ სემინარიის იმგვარად არსებობა, როგორც ეს იყო აქამდე, მომავალში შეუძლებელია“. გადაწყდა თბილისის რუსული სასულიერო სემინარია გადაეკეთებინათ რვაკლასიან კლასიკურ გიმნაზიად **(ს. 276, ფ. 5-6)**.



1921 წლის 25 თებერვლის შემოქმედნი

ქართულმა ეკლესიამ გაიმარჯვა. ანტიქართული მოძრაობის იდეურმა ცენტრმა არსებობა შეწყვიტა. თუმცა რუსი სამღვდელოება უკეთესი მომავლის იმედს არ კარგავდა...

### 2. ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს ოფიცერთა კორპუსი

ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს ოფიცერთა კორპუსის შექმნა დაიწყო 1917 წელს. 1918 წლის გაზაფხულისათვის იგი უკვე სერიოზულ ძალას წარმოადგენდა. ოფიცერთა კორპუსი დაკომპლექტებული იყო პროფესიონალი სამხედროებით, ძირითადად კავკასიის არმიის ოფიცრებით. კავკასიის არმიის დაშლის პროცესში რუსთა ეროვნულმა საბჭომ ხელთ იგდო დიდძალი შეიარაღება, ასევე არმიის ხაზინის ნაწილი. ასე რომ, ფული და შეიარაღება ოფიცერთა კორპუსს არ აკლდა.

ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს ოფიცერთა კორპუსი სულ უფრო ძლიერდებოდა, მაშინ როცა მთელი რიგი მიზეზების გამო ფერხდებოდა ქართული რეგულარული ჯარის შექმნა. ასეთ ვითარებაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ რუსთა ეროვნული საბჭოს ოფიცერთა კორპუსი დაშალა **(ს.276, ფ.27)**. მეხუთე კოლონის ხელმძღვანელობა არ დაიბნა: საჭირო იყო იმ ძალის პოვნა, რომელიც გავლენას მოახდენდა საქართველოს მთავრობაზე. ასეთ ძალად ინგლისი იქნა მიჩნეული. რუსთა ეროვნული საბჭოს ინტრიგები ასეთი იყო: ინგლისის დიპლომატია უნდა დაერწმუნებინათ იმაში, რომ ოფიცერთა კორპუსი მხოლოდ თურქეთის აგრესიისაგან ამიერკავკასიის დაცვას ისახავდა მიზნად. 1919 წლის 11 თებერვალს ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულმა საბჭომ წერილი გაუგზავნა ინგლისის მისიას ამიერკავკასიაში. წერილში ვკითხულობთ: „ომის ბოლო თვეებში, როცა საერთოდ ამიერკავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში გაძლიერდა მოკავშირეების (ინგლის-საფრანგეთი, რუსეთი —ვ.გ.) წინააღმდეგ მებრძოლი თურქეთისა და გერმანიის სასარგებლოდ მოძრაობა, რუსთა ეროვნული საბჭო მუდამ რჩებოდა მოკავშირეთა მხარეზე და იბრძოდა იმ განწყობილების წინააღმდეგ, რომელიც ბატონობდა ქართველთა წრეებში და საქართველოს მთავრობაში“ **(ს.276, ფ.27)**. მას შემდეგ, რაც ასე ოსტატურად იქნა გამახვილებული ყურადღება საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გერმანოფილურ განწყობილებაზე (რაც ინგლისელებს არ მოეწონებოდათ), რუსთა ეროვნული საბჭო ინგლისის მისიას აცნობებდა: „მიუხედავად ყოველგვარი წინააღმდეგობისა და სიძნელისა, ფულისა და შეიარაღების არარსებობის პირობებში საბჭომ მაინც შეძლო რუს მოხალისეთა კორპუსის შექმნა. ამ კორპუსის ნაწილები ბოლო წუთებამდე იბრძოდნენ თურქეთის წინააღმდეგ, ამასთან კორპუსის ნაწილებს ჰქონდათ უდიდესი დანაკარგი მოკლულთა და დაჭრილთა სახით — მთელი პირადი შემადგენლობის 60%. რუსთა ეროვნული საბჭოს მიერ შექმნილი კორპუსი დაშალა საქართველოს მთავრობამ. კორპუსის ოფიცრები მრავალგზის შეურაცხყვეს და დაამცირეს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა“ **(ს.276, ფ.27)**. ინგლისის დიპლომატიამ კარგად იცოდა, თუ რა სამარცხვინოდ გაიხრწნა რუსეთის კავკასიის არმია, როგორ უწესრიგოდ მიატოვა მან ფრონტის ხაზი და იარაღის საწყობები. ინგლისელებმა ისიც კარგად იცოდნენ, რომ არმიის გახრწნაში რუსთა ეროვნული საბჭოს ოფიცერთა კორპუსის შემადგენლობაც არ იყო უცოდველი — არმია სწორედ მათ თვალწინ დაიშალა. და ბოლოს, თურქეთის არმიის შემოტევის შეჩერებაში რუსთა ეროვნული საბჭოს ოფიცერთა კორპუსს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, ოფიცერთა კორპუსი თავიდანვე ჩაფიქრებული იყო როგორც მეხუთე კოლონა და მას ფრონტზე არაფერი ესაქმებოდა. ზემოთხსენებულ წერილში მხოლოდ ის არის საინტერესო, თუ როგორ ცდილობდა ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო ოფიცერთა კორპუსის გადარჩენას, რომლის გარეშე მეხუთე კოლონის ფუნქციას იგი ვერ შეასრულებდა. წერილში შემთხვევით არ იყო მითითებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გერმანოფილურ განწყობილებასა და რუსთა ეროვნული საბჭოს მოკავშირეებისადმი ერთგულებაზე. ამჯერად, რუსთა ეროვნული საბჭო ინგლისის დიპლომატიას სთავაზობდა ინგლისის სასარგებლოდ მეხუთე კოლონის ფუნქციის შესრულებას. გერმანოფილურ საქართველოში ინგლისს მეხუთე კოლონა მართლაც სჭირდებოდა

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც რა მიშველა ტირილმა,

არცა ცრემლების დენამა,

მიშველა ისევ სიცილმა,

ლაქარდიანმა ენამა.



წუთშესვენება - იუმორის გვერდი

# კურიოზები

რუბრიკას უძღვება საქართველოს სახალხო არტისტი

ელენე საყვარელიძე

## ზეიკოს — „მინი“

მოდა ის კერპია, რომელიც ანგარიშს არ უწევს საზოგადოებრივ აზრს და ჯიუტად ამკვიდრებს თავის თავს.

საქართველოშიც შემოიჭრა „მინი“ კაბების მოდა და იგი ღრმად ჩაინერგა, მიუხედავად ბევრის გულისწყრომისა.

ზეიკომაც მუხლისთავებიდან ოთხი თითით დაამოკლა თავისი კაბა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია გიგოლა თალაკვაძეს და ავტობუსში მისი გამქირდავი მზერა მუხლისთავებზე დაასო ზეიკოს, რომელმაც უხერხულად ჩამოქაჩა კაბის ბოლო და რომ არაფერი გამოუვიდა, მოიბუზა.

— რა მოხდა გიგოლი ბაბუ, „ჩაშკებია“! — ეტყობა მუხლისთავები იგულისხმა მან.

— „ჩაშკები“ კი არა, მთელი „სერვიზია“, შე ქალო! — აბუზღუნდა გიგოლი.

1974 წლის მაისში სპექტაკლ „სამანიშვილის დედინაცვლის“ ჯგუფი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის ქალაქ საარბრიუკენში ჩავიდა. აბა, „მინი“ კაბები ჩვენ იქ ვნახეთ, ზეიკოს „მინი“ ჩარლსტონად მოგვეჩვენა. იქაური გოგონების ქვედა კაბა ქამარს უფრო გავდა და წელის არეს ძლივს ფარავდა.

უყურა და უყურა გიგოლამ გოგოებს, აბრიალა და აბრიალა თვალები, მერე თავზე ხელი გადაუსვა ზეინაბს და უთხრა: „ბაბუ, მე მეგონა შენ გეცვა „მინი“ და ვბრაზობდი, თურმე იხრჩობი კაბაში! კარგი გოგო ხარ, ბაბუ, ოღონდ მეტი აღარ დაამოკლო, სირცხვილია!

— „სერვიზი“ არ არის? — გაეხუმრა ზეიკო.

— არა, ბაბუ „ჩაშკები“ ყოფილა, „სერვიზი“ ამგენს ქონიათ და ქონდეთ! შენ კი მეტი არ დაამოკლო, ბაბუ, სირცხვილია!

და ისევ გადაუსვა თავზე ხელი.



## ხანუმა და ვანუმა

რობერტ სტურუა „ხანუმას“ დგამს.

ხანუმა სალომე ყანჩელია,

ვანო—ეროსი მანჯგალაძე,

აკოფა—რამაზ ჩხიკვაძე.

მეც ვმონაწილეობდი. მაგრამ ქაბატოს როლის მეორე შემსრულებელი გახლავართ მხოლოდ და ყველა მსახიობმა იცის, რას ნიშნავს მეორე შემსრულებელი. განვმარტავ: ის რეპეტიციებს თითქმის არ გადის, სულ მაყურებელთა დარბაზში ზის და ყურების ნება ეძლევა. მისას არც მოსვლას კითხულობს ვინმე და არც წასვლას. ის მხოლოდ შენატრის როლის პირველ შემსრულებელს და გული უკვდება მისთვის ბოძებული „თავისუფლებით“.

ჰო და, სულ დარბაზში მყოფს რა გამომეპარებოდა მხედველობიდან.

მახსოვს ხანუმასა და ვანოს სცენა მიდიოდა. ეროსი მანჯგალაძეს ერთი თვისება ჰქონდა: როლის ტექსტს თავისთვის მოირგებდა. შეცვლიდა. სიტყვებს აპატებდა. ჩვენ ამას შეჩვეულები ვიყავით. თუმცა ხანდახან ვწუხდით იმის გამო, რომ წარმოდგენა იზრდებოდა და გვიან მთავრდებოდა. ისიც ფაქტია, რომ მისი ეს თვისება კომედიას უხდებოდა კიდეც. ჩვენ ძალიან ბევრს ვიცინოდით. ეროსის და ნოდარ ჩხეიძის სცენების დროს „პეპოში“ სულ კულისებში ვიდექით და ხმამაღლა ვხარხარებდით. „წერილი შენ წამიკითხე, მე წამწამები მტკივათ“ — იტყოდა და თან გადმოგვხედავდა, აბა, იცინეთო!

ეს ოინბაზობა არც „ხანუმაში“ მოიშალა, რამაზ ჩხიკვაძის და მისი ყურება აღარ შეიძლებოდა.

ერთ დღეს, რეპეტიციას ვუყურებ და ხანუმასა და ვანოს დიალოგს ვუსმენ. ლაპარაკობს და ლაპარაკობს ეროსი, ყველა გზები მოუჭრა სალომეს, არცერთი რეპლიკა არ ათქმევინა. სალომე ცოტა არ იყოს გაბრაზდა კიდეც. მაგრამ რა ექნა? ეროსის ვინ შეაჩერებს: ამ დროს პარტერში უკანა რიგში რამაზ ჩხიკვაძე მჯდარა, ბევრი რომ იცინა, მერე შეეცოდა სალომე და რობერტ სტურუას მიაძახა:

— გამაგებინე, ძმაო, შენ „ხანუმას“ დგამ, თუ „ვანუმას“?

ამით დაესვა წერტილი იმდღევანდელ ოხუნჯობას, რადგან ეროსის ისეთი სიცილი აუვარდა, დაწერილი ტექსტიც ველარ თქვა, არამც თუ ჩამატებული!



## მოწყალება

რეჟისორი სიკო დოლიძე იღებდა კინოფილმს „შეხვედრა წარსულთან“. გადაღება ჩოხატაურის რაიონში მიმდინარეობდა და ჩვენ, მონაწილენი, სასტუმროში ვცხოვრობდით. როგორც ცნობილია, ფილმი მოგვითხრობს იმაზე, თუ ახალმა ცხოვრებამ როგორ აღზარდა და მოწინავე ინტელიგენციის რიგებში ჩააყენა ლატაკი და უთვისტომო გლეხის გოგო ნინო. ამ როლს ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე თამაშობდა.

სისხამ დილით გვაღვიძებდნენ ხოლმე. ჩავიცვამდით, გრიმს გავიკეთებდით და მივემგზავრებოდით სხვადასხვა ობიექტებზე ფილმის სხვადასხვა ნაწყვეტების გადასაღებად.

ერთ დღეს შავ ძონძებში გამოწყობილი ლეილა-ნინო, რომელსაც დახეული წუღებიდან ფეხის თითები მოუჩანდა, გამგზავრების მოლოდინში სასტუმროს წინ ჩემთან ერთად ქვაზე ჩამოჯდა და ერთი კვირის ნადიეტარმა შავ პურს მადიანად დაუწყო ლეჭვა.

კვირა დღე იყო და, მოგეხსენებათ, სოფელში კვირაობით რა ნაირფერი მორთულობებით გამოეფინებიან [illegible] და ბრილიანტის ბეჭდებს. ზოგის მკერდზე ოქროს ვარსკვლავისა და ორდენების კიაფიც ემატებოდა. საკვირაო გამოცოცხლება გურიაში ადრე გარიჟრაჟზე იწყებოდა.

ჰოდა, აუვლიან და ჩაუვლიან ლეილას ეს მოპრანჭული ქალები, ზოგი გაკვირვებას ვერ მალავს და ზოგიც სიბრალულს. ერთი შუა ასაკის ქალი, რომელსაც კბილებიც კი ოქროსი ჰქონდა, თანამოსაუბრეებს მოშორდა, ჩვენთან მოვიდა, ჩანთიდან კეცის ჭადი და ჭყინტი ყველი ამოიღო და ლეილას გაუწოდა.

— აჰა, ნენა შენ, გადააგდე მაი შავი პური და ეს შეჭამე, სალამოზე ბაზრიდან რომ მოვბრუნდები, პაწა ფარასაც კი დაგიტოვებ, ამფერი კაი ციცაი რაფერ დაგჩაგრა ასე ბედმა? — მერე მე მომიბრუნდა და „აღარ მეგონა, თუ ჩვენს დროში ასე გაჭირვებული კიდევ იყო ვინმე-ო. — ლეილას დაძონძილ კაბას დააშტერდა, მის შეუმჩნევლად „კურცხალი“ მოიწმინდა და მეგობარ ქალებს შეუერთდა.

როგორც კი ქალი გაგვშორდა, ლეილამ დარჩენილი პურის ნატეხი სწრაფად ჩააგდო ჩანთაში, კეცის ჭადი და ჭყინტი ყველი მიწოლადა და მადიანად შეექცეოდა.



## ჩვენი მენახშირე

კარლო საკანდელიძის ბედნიერი კინოდებიუტი იყო მენახშირე ბიჭის როლი რ.ჩხეიძისა და თ.აბულაძის „მაგდანას ლურჯაში“. ამ როლმა დიდი პოპულარობა მოუტანა კარლოს. მართალია, ფილმში კარლოს როლს ოპერის მომღერალი ახმოვანებს, ის მღერის სიმღერას „მენახშირე ბიჭი ვარ“, მაგრამ კარლო თვითონაც შესანიშნავად მღერის და როცა ზაფხულობით კონცერტებით დავდიოდით, კარლო სულ „ბისებზე“ მღეროდა მის სიმღერას. ხმამაღლა გამოვაცხადებდით „კინოფილმის მონაწილეო“ და აუდიტორია დიდი ტაშით ეგებებოდა მას.

კონცერტების შემდეგ, ღამითვე მივემგზავრებოდით შემდეგ ადგილზე, ღამით დავისვენებდით, დღისით დავივლიდით იქაურობას, ხალხი გვნახავდა და საღამოს სრულ ფორმაში ვატარებდით კონცერტს. ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ კარგი ვახშამი გაგვიმართეს და ღამის სამ საათზე დავიძარით შემდეგი ქალაქისაკენ — ხონისაკენ. დილის ხუთი საათი იქნებოდა, ხონის სასტუმროს რომ მივადექით, ბევრი ვაკაკუნეთ, ბევრიც ვიძახეთ და ბოლოს, როგორც იქნა მეორე სართულიდან გადმოდგა საცვლებისამარა ბერიკაცი.

— რომელი ხარ მაქანეო? — გვკითხა.

უძილო და მგზავრობისაგან დაღლილმა კარლომ მიაძახა:

— რომელი ვარ, თორემ ერთბაშად არ მიცნო, გააღე კარიო!

თავის მხრივ ძილგატეხილი ბერიკაციც გაჯავრდა:

— ჰო და თუ არ გიცნობ, ქე იდექი მადანაო — მოგვაძახა და ოთახში შევიდა. ჩვენც ხომ დაღლილები ვიყავით და დავესიეთ კარლოს, რა უხეში ხარ, ახლა სადღა წავიდეთ, მაშინ კარლო დადგა შუა ეზოში, ხელები გაშალა და დაიწყო სიმღერა:

„მენახშირე ბიჭი ვარ, არ მაქვს ბინა, საფარი,

ნახშირს ვყიდი, ბედისგან ნახშირივით დამწვარი ჰეეეე“...

მეორე კუპლეტი რომ დაამთავრა, სასტუმროს სხვა ფანჯრებშიც აინთო შუქი, იმ საცვლებისამარა დარაჯს ამასობაში შარვალი ჩაუცვამს, კიბეებზე ჩამობრძანდა და სასტუმროს კარი გაგვიღო, თან კარლოს გაეხუმრა: არ მიცნობო, რაზე მითხარი, ბიჭო, შენ ვინ არ გიცნობს, შენ ჩვენი მენახშირე ხარ — უთხრა და შინაურულად მოუთათუნა ხელი მხრებზე.



# ჰოროსკოპი

**მარტის თვეში წარმატება და ბედნიერება გელით სიყვარულში. მთელი თვე შეგიძლიათ აქტიურად იმუშაოთ და არ შეგეშინდეთ ავადმყოფობის. ამ კვირაში კრიზისული დღეებია 3-4-8 მარტი.**

### ვერძი



1 მარტი არახელსაყრელია საქმიანი შეხვედრებისა და მოლაპარაკებებისათვის, მაგრამ ამ დღეს საქმიანმა აქტიურობამ შეიძლება წარმატება მოგიტანოთ. 2-ში უნდა შეძლოთ შინაგანი ძალების მობილიზაცია — ეს დღე მოულოდნელობებითა სავსე ისევე, როგორც 4 და 6 მარტი. ამ დღეებში საჭიროა განსაკუთრებით კარგად გაიაზროთ მომავალი ნაბიჯები და თუ მძიმე შეცდომებს არ დაუშვებთ, 7 რიცხვი იქნება საუკეთესო დღე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად. მაგრამ ამ უკანასკნელს თავი უნდა აარიდოთ, თუ ეს არ მოხერხდა, 8-ში შეემზადეთ უსიამოვნებებისათვის.

### კურო



1 რიცხვში თავი შეიკავეთ სერიოზული საქმეებისაგან და მომდევნო დღეს ბედი აუცილებლად გაგიღიმებთ. მომდევნო დღეებში პოლიტიკოსებსა და სახელმწიფო მოსამსახურეებს ბედი კვლავ გაუღიმებთ. ფრთხილად იყავით, თუ 3-მა რიცხვმა წარმატება არ მოგიტანათ. მომდევნო ორ დღეს ერიდეთ ყველანაირ კონტაქტებს და სერიოზულ გადაწყვეტილებებს. თუ ამას მოახერხებთ, მაშინ 4-ში აქტიურობამ შეიძლება 6-7-ში მოგიტანოთ შედეგი.

### ტყუპები



1 რიცხვი უნდა წარმოადგენდეს თქვენთვის წინა დღეებში მიღწეული წარმატებების ლოგიკურ დასასრულს. მომდევნო ორ დღეს კი უკვე კონფლიქტებსა და უსიამოვნებებში გახვეულმა, როგორმე უნდა აარიდოთ თავი პასუხისმგებლობას და გარკვეული მისტიკური ძალები დაგეხმარებათ 4-5 რიცხვებში ცოტა სული მოითქვათ. მაგრამ სამწუხაროდ უსიამოვნებები კვლავ დაგატყდებათ თავს. გულს ნუ გაიტეხთ, ასეთი საზიზღარი კვირის შემდეგ 7-ში აქტიურად შეუდექით საქმიან ცხოვრებას. რაც შეიძლება, იმ დღესვე სოლიდურად აგინაზღაურდეთ.

### კიბო



ეს დღეები თქვენთვის იღბლიანად დაიწყება. გააგრძელეთ არსებული საქმიანი მოლაპარაკებები და 3-მდე ყურადღებას ნუ მიაქცევთ წვრილმანებს. მაგრამ 4-ში თქვენს გარშემო ამინდი იღრუბლება. დაძაბეთ ძალები, არ აარიდოთ თავი კონტაქტებს, თუ საჭირო შეიქმნა, არც მოგზაურობაზე თქვათ უარი და 7-ში მოემზადეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად.

### ლომი



1-2-ის გადაწყვეტილებებმა შეიძლება 3-ში უკვე კარგი შედეგი მოგიტანოთ. მაგრამ ფრთხილად იყავით — 5-დან ბედი ზურგს გაქცევთ. ძნელი სათქმელია, რა არ გემუქრებათ: ფინანსური გაჭირვება თუ შესაძლო უბედური შემთხვევა, სერიოზული შეცდომები და ავადმყოფობა. ამ ჭირვარამს გადარჩენილ ლომს 7-ში კვლავ გიბრუნდებათ ბედის კეთილგანწყობა. ამ დღეს მთელი ვარსკვლავთსამყარო თქვენსკენ იქნება.

### ქალწული



თქვენც, როგორც ლომს, 1 და 2 რიცხვში წარმატებას ელოდეთ. მაგრამ 3-ში შეიძლება უბედობამ თავი შეგახსენოთ. არ თქვათ უარი შეხვედრებზე და საქმიან მოლაპარაკებაზე. 4-5-6-ში გაფრთხილდით, შეიძლება მოგატყუონ. კვირის ბოლოსათვის გაააქტიურეთ თქვენი ცხოვრების საქმიანი მხარე, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებებს ჯერ ნუ მიიღებთ.

### სასწორი



თითქოს ბედი გწყალობდათ ამ ბოლო დროს, მაგრამ როგორც ხშირად ხდება ხოლმე, იმედგაცრუებასაც უნდა ელოდოთ. მაგრამ ბედი ამას არ გაკმარებთ და 3-ში თქვენს ცუდ განწყობას შეიძლება ფინანსური კრახიც დაერთოს. მაგრამ არ შეშინდეთ, მიყევით დინებას და მომდევნო დღეებში ფინანსური მდგომარეობაც გაგიუმჯობესდებათ და საქმიან კონტაქტებსაც დაამყარებთ. მაგრამ თუ ამ მოულოდნელი შანსის გამოყენებისათვის შნო არ გეყოთ, 7-ში ისევ დამსხვრეული იმედები შეგახსენებენ თავს. ნუგეშად ისღა დაგრჩებათ, რომ მფარველი ანგელოზი თვალს არ გაშორებთ.

### მორიელი



1 რიცხვი სახიფათო დღეა თქვენი ფინანსებისთვის. მაგრამ მიენდეთ ბედს, რომელიც თქვენსკენაა. არ აარიდოთ თავი საქმეებს და ნუ დაიზარებთ, მაქსიმალურად შეიწუხოთ თავი და ეს ყველაფერი 4-ში შეიძლება წარმატებით დასრულდეს. მაგრამ ზარმაცი მორიელისათვის დარჩენილი დღეები აივსება კონფლიქტებითა და უსიამოვნებებით.

### მშვილდოსანი



ეს რამოდენიმე დღე პირდაპირ თქვენთვისაა განკუთვნილი. ბუნება, ბედი, ფინანსური წამოწყებანი — ყველაფერი კარგი თვალით გადმოგხედავთ. ოღონდ, ეს ნუ დაგაბრმავებთ, ნუ აცერცეტდებით და ერთადერთ დღეს — 4-ში შეიკავეთ თავი სერიოზული გადაწყვეტილებებისაგან. შემდეგ კი ისევ თქვენსკენაა ცხოვრება: იმოგზაურეთ, გაიცანით ხალხი, შეხვდით მტრებს და მეგობრებს, დაიწყეთ ნებისმიერი საქმე. არ მოერიდოთ გართობას — თქვენ ყველაფერში ბედი გექნებათ.

### თხის რქა



თქვენ პირველი დღეებიდანვე იგრძნობთ იდუმალი ძალების კეთილგანწყობას. და თუ არ დაუმატებთ პასუხისმგებლობას, 2-ში ეს აგინაზღაურდებათ ფინანსური წარმატებით. მაგრამ 5-ში მუხანათი ბედი ჩაგიასფრდებათ. თუ თავი დააღწიეთ უსიამოვნებებს, 28-29 რიცხვში ბედი ფორტუნა ისევ თქვენსკენ გადმოიხრება და თქვენც ადექით და გააგრძელეთ საქმიანი ცხოვრება.

### მერწყული



მნიშვნელოვანი საქმეებისთვის გამოყავით 1 ან 2 რიცხვი და ნურაფერზე ნუ იდარდებთ, თუ გინდათ, შვებულებში იმოგზაურეთ, გაერთეთ და თუ ზომიერებასაც დაიცავთ 5 რიცხვი წარმატებას მოგიტანთ ფინანსურ საქმეებში. 6-ში კი ცხოვრებისეულ უსიამოვნებებს ელოდეთ. მხოლოდ 7-ში უარი თქვით ყველანაირ საქმეზე, თორემ მთელი წარმატება წყალში ჩაგეყრებათ.

### თევზები



ცხოვრება მძიმე დღეებს გიმზადებთ. უსიამოვნებებმა მხოლოდ თქვენი შინაგანი ძალების მობილიზაცია უნდა გამოიწვიოს. იბრძოლეთ, იმუშავეთ, ადამიანებთან ურთიერთობას თავს ნუ აარიდებთ. 5-ში შეიძლება შესაბამისი ანაზღაურება მოგიტანოთ. 7 რიცხვიდან ცხოვრება ისევ მოითხოვს თქვენგან ძალების სრულ დაძაბვას.

## იაპონელებმა მიწისქვეშა თვითმფრინავი გამოიგონეს

იაპონური ტექნოლოგიური ფუტურიზმის უკანასკნელი გამონაყინება „გეოთვითმფრინავი". თვით მწერალ-ფანტასტის აღგზნებულ გონებაში ვერ მოთავსდებოდა გადაადგილების ისეთი სახე, რომელიც შეიმუშავა კომპანია „ფუძიტამ".

საქმე ეხება მიწისქვეშა თვითმფრინავს, რომელიც გადაადგილდება მიწის ქვეშ 50 ან მეტი მეტრის სიღრმეზე. ახალი ტრანსპორტული საშუალება, კონცეფციის თანახმად, ფორმით უამრავბორბლიან თვითმფრინავის ფუზელიაჟს მოგვაგონებს და სიგრძით 50 მეტრია. იგი გადაადგილდება ტურბოხრახნილი ძრავის მეშვეობით, საწყისი სიჩქარე 300 კილომეტრია საათში. შემდეგ მთელი აპარატი „ჰაერში აიჭრება" და მისი სიჩქარე 600 კმ/სთ-მდე გაიზრდება. თვითმფრინავი გადაადგილდება ერთი მეტრის სიმაღლეზე 50—60 მეტრის სიგანის გვირაბში. მასში 400 მამაცი მგზავრი იჯდება. აგრეგატი იმართება დისტანციურად პილოტის გარეშე.

კომპანია „ფუძიტა" ხუთი წლის განმავლობაში ამუშავებდა „გეოთვითმფრინავის" იდეას. ამ დროის განმავლობაში მან შესძლო, დაემტკიცებინა მიწისქვეშა ფრენის ტექნიკური შესაძლებლობა, გაეანგარიშებინა ტრასების ღირებულება და შეემუშავებინა პროექტის კომპლექსური კონცეფცია. მათი აზრით, მგზავრთა გადაყვანა ტოკიო-ოსაკას მიმართულებით (იაპონიაში ყველაზე გადატვირთული ტრასა) მოხერხდება ორჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე განთქმული ჩქაროსნული მატარებლის მეშვეობით, სულ რაღაც 50 წუთში.

რამოდენიმე წვრილმანიღა დარჩა ამ იდეის განსახორციელებლად, რაღაც ოთხასიოდე მილიარდი დოლარი, რათა ააშენონ რელსებით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელებით, მილსადენებით და სხვა ინფრასტრუქტურებით მოფენილი მრავალფუნქციური გვირაბები „ფუძიტას" გადაწყვეტილი აქვს, ოფიციალური მოთხოვნით მიმართოს იაპონიის მთავრობასა და სარკინიგზო კორპორაციის ადმინისტრაციას, დაეხმარნონ მატერიალურად.

## კროსვორდი



**თარაზულად:** 3. მდინარე საქართველოსა და თურქეთში; 5. დათქმული საიდუმლო სიტყვა ან ფრაზა; 8. ჭადრაკის ფიგურა; 9. პროფესორზე დაბალი და ასისტენტზე მაღალი; 13. საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი; 14. მდინარე რუსეთში; 15. მონოპოლიების ფორმა, როცა გაერთიანებული საწარმოები ზემოგების მიზნით ემორჩილებიან ერთიან მმართველობას; 17. იტალიელი კინომსახიობი; 19. ბურთის სპორტული თამაში; 20. ჰერმეტიულად დახურული ლითონის ჭურჭელი მაღალი წნევის პირობებში სითხის გასაცხელებლად; 25. ერთ-ერთი დიდი ქალაქი ყაზახეთში; 28. დაბა დუშეთის რაიონში; 29. ყაჩაღთა და მძარცველთა ჯგუფი; 32. სასმელი; 33. სოფელი, რომლის მახლობლად დგას გ.სააკაძის ციხე-დარბაზი; 34. ქართველი საესტრადო მომღერალი ქალი, ავტორი და შემსრულებელი ცნობილი სიმღერისა „ჯერ ქალებს გვესროლეთ!" 35. ქართული საწესო ლექს-სიმღერა; 36. ვულკანური წარმოშობის ქანი; 37. მოხდენილობა მიხვრა-მოხვრაში; 38. ძალიან შავი თმის ან შავი თვალების გამომხატველი სიტყვა (პოეტური შედარება);

**შვეულად:** 1. თანამდებობის პირთა ჯგუფი, რომლებიც ქმნიან ადმინისტრაციულ, სათათბირო ან განმკარგულებელ ორგანოს; 2. უმოტორო საფრენი აპარატი; 4. შუა საუკუნეების მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე ჯავახეთში; 6. საერთო წესისაგან, კანონზომიერებისაგან გადახვევა; 7. ძლიერი, შეუპოვარი; 8. პოპულარული ტელესერიალის მთავარი გმირი; 10. პოლიციის მოხელე ცარიზმისდროინდელ სოფელში; 11. სოფელი ჭიათურის პლატოზე; 12. მცენარეთა სამყარო; 16. ადგილი „რეჩების" წარმოსათქმელად; 18. მდგომარეობის აღმნიშვნელი ტერმინი საერთაშორისო სამართალში; 21. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ღრუს დიამეტრი; 22. ხაოს მქონე აბრეშუმის ქსოვილი; 23. აღმოსავლური ტკბილი სასმელი; 24. ძველად აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული სიმღერა გუთნის დედისა და მეხრეებისა; 26. პირი, რომელსაც აქვს გარკვეული ვადით რამეთი სარგებლობის უფლების დამადასტურებელი საბუთი; 27. მამაკაცის სახელი; 28. მოულოდნელი უბედური შემთხვევა; 30. გურიასა და აჭარაში გავრცელებული ვაზის ჯიში; 31. ფრანგი პოეტი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 6. ლოტბარი; 9. „ლოცია"; 10. ბრძენს; 13. აბანოზი; 14. ეპოლეტი; 16. ბაქრაძე; 17. „დვრიტა"; 19. არამია; 20. პრომოლისი; 21. ქონდაქარი; 24. აზდაკი; 27. სადღაც; 29. ცანგალა; 31. იერარქი; 32. ოსტერია; 33. ალსეკო; 34. ასაკი; 35. ტრიბუნა;

**შვეულად:** 1. სომბრერო; 2. უბანი; 3. ბრეზენტი; 4. გოგოლი; 5. დილემა; 7. ტრაქეა; 8. დეკადა; 11. სპეციფიკაცია; 12. დეყველიზაცია; 15. ინსპექცია; 16. ბერილიუმი; 18. მოდას; 22. ნესესერი; 23. ავალიანი; 25. აპნისი; 26. ისააკი; 27. სოროსი; 28. „დარიკო"; 30. მეობა.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ ბრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ფასი: 50 თეთრი

ტელეფონები:
93-20-36, 93-19-99 93-18-41